სსრკ სახალხო დეპუტატი როლანდ საგდევი ერთ-ერთი ინიციატორია ა. წ. 12 აპრილს შექმნილი მოსკოვის საზოგადოებრივი კომისიისა, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს ქართველ საზოგადოებრიობას 9 აპრილის ტრაგედიის მიზეზების გამოძიებაში.

სსრკ უმაღლესი საბჭოს კავშირების საბჭოში კენჭისყრისას ამ

სსრკ უმაღლესი საბჭოს კავშირების საბჭოში კენჭისყრისას ამ

სსრკ უმაღლესი საბჭოს კავშირების საბჭოში კენჭისყრისას ამ

წყლულები

...ერის წყლული მაინც წყლულად...

ილია

ძალიან მოგვიმრავლა წყლულები, რა დროს სიყვარულის ლექსია... მზაკვრულად შემოპარულები გვჩვენებენ, გვწამლავენ, გვესვრიან.

პარბაშებს სიკვდილის აღმური, ცრემლების ნაკადი არ შრება, სევდით გათანგულა მამული, გლოვის დროშებია გარშემო.

რა ღვარძლით და რა სისასტიკით მძლავრობენ ბნელეთის ძალები. ავად დაიკლაკნა სევასტიკა, სატანას უელავს თვალები...

ვართ ქედუხრელნი და ურჩები და თავისუფლების ღირსნი ვართ... შეხედეთ! — სისხლია ქუჩებში, შეხედეთ! — ქუჩებში სისხლია! არავინ დაინდო ურჯულომ,

დათალხა ცისფერი აპრილი, შეხედეთ! — სხმარტალებს ურჩხული და კვალის დაფარვას აძირებს...

ჩვენ მაინც კლდენავით დავდგებით. და ფენიქს კვლავ დავედარებით... ყველას ვერ გასრესენ ტანკებით, ყველას ვერ დაჩენენ ბარებით.

ნოდარ გუგუშვილი

11.IV.1989

„ნანა, წამებულნი, ნანა“...

ის იყო, ზეციდან ადგომა ინება აპრილმა, დღეების ათვლით, როცა დაიღუპნენ... რარე გვეტირება, ლამაზი სიცოცხლე მათი...

გზა და გზა სატანის ნადავლი ეყარა — სიკვდილი დაგვატყდა რისხვით... თავად რუსთაველის მკერდს გადაეღვარა,

ქართული, უმანკო სისხლი.

...მხოლოდ ის მოასწრეს — გვაუწყეს სათქმელი,

ქალწულები წმინდა და მორცხვი, იმ ღამით...

თითებზე დანთებულ სანთლებით და ცისკენ გაფრენილი ლოცვით.

...მახვილი ჩეხავდა ოცნებას, სიმღერებს,

ბოროტი აქრობდა სანთლებს...

იმ ღამეს...

სიკვდილის ცელი მოუღერეს

ჩვენს ზეცას მაღალს და ნათელს...

და როცა ეგონათ, ქართლი მოკვდებოდა

იმ ღამეს აქ, ძელზე ცვამით, ქეთევანს ეახლა დიდ საქართველოდან წამებულ სულების დასი.

ეახლნენ, რომ უქრობ კელაპტრად აენტონ

ივერის, კოლხეთის ცაზე, რომ წმინდა ღვთისმშობლის კალთას შეავედრონ მამული, ტკივილით სავსე.

...მოხდა საოცარი ცოდვის გადიდება —

ახლა დაღლილები წყნან... ახლა სიო ცდილობს იმით დამშვიდება:

„ნანა, წამებულნი, ნანა!“

ილია

ხანდახან ის ისევ წარსულის ტყვე არის — იმ მწარე, გარდასულ დღეთა...

ახლაც თავს ახსენებს შუბლის ნატყვიარი

და სისხლად ასფალტზე წვეთავს... „ბართლომეს ღამეა“, თუ გზა წიწამურის,

ან ბნელი, ავსულთა ტყვია? მოიჭრნენ მკვლელები შემზარავ ხმაურით

და ერს დაახალეს ტყვია. ვინ, ვინ მოისურვა მლოცველთა შემუსვრა,

წაბილწა მთაწმინდის კალთა?

ეგება ოსმალთა, ეგება სელჯუკთა, ეგება უღმერთო სპარსთა?

მოგვხედე უფალო, გვიხსენი უფალო, ნუ გვწირავ სარბევად მტერთა!..

— ქვაზე დალურსმული — წუხს ქირისუფალი

და შხამი ასფალტზე წვეთავს...

მარიკა ბარათაშვილი

2.V-89 წ.



თავილისი. © აპრილი. ვახტანგ კოქიაშვილის ნახატი.

9 აპრილის ეპო

ჩემო ვარსკვლავო, ჯვარზე გაკრულო, რა დაგვაფიწყებს, რაც მოხდა გუშინ... სინათლის დები ნიჩბით დაკლული კენესიან ფიქრში, ტირიან გულში.

სიყვარულისთვის რატომ ვისჯებით, ან ტანჯვისათვის რატომ ვარსებობთ. ტანდაჩენილო, კონტა ბიჭებო, მზექაბუქებო, კეტით ნაცემო...

ვმღეროდით ერთად ხელში სანთლებით და ტაძარს ჰგავდა სივრცე ქალაქის, სხვა სინათლეში იდგა ქართველი — მამულისა და უფლის ზვარაკი...

მერე მოვიდნენ სიკვდილის მხრიდან რკინის შუბლებით, მღვრიე თვალებით და დაიშალა კუნძული წმინდა და ცის ცრემლებად იქცნენ ზარები...

დაბზარულია ჩრდილი ღამეთა, სუსხიანია შუქი დღეების... გლოცულობ, მუხლის ღონე წამერთვა, პრილობიანი მტკივა მზეები.

მწარეა ძილი... სიზმრად განახულობთ... ახდეს, რაც თქვენმა ფიქრმა ინებოს, ანგელოზებო, ნიჩბით დაკლული, კონტა ბიჭებო — ქრისტეს შვილებო.

ვაჟა ხორნაშული

შოთა ნიუნიანიკა

ღია ლექსი კოლეგას

საქართველოში მე ახლა ვერ დამარწმუნებს ვერავინ აღზრდილმა გაჟას არწივით, აღზრდილმა ტატოს მერანით, ერს მოუღეროს მახვილი ელოდებოდეს სხვა ნიშანს... შეცდომა, ჩემო ძვირფასო, ლალატს არასდროს არ ნიშნავს.

იქნება სხვაგან ვეძებოთ დანაშაულის მიზეზი, შემწყნარებლობა ფორმულად კვლავ გავიხადოთ ქრისტესი.

დღეს ყველამ იცის თუ ცრემლი, ქართველთ ასე ვინც აღინა, წყევლა და კრულვა ნამდვილი

ეკუთვნის მხოლოდ შადიმანს.

ჯერ ყველაფერი შორს არის და კარგად ავწონ-დავწონოთ, ერთი ქართველის სიკვდილიც ძნელია, ჩემო ბატონო.

საქართველო

ომებით და უღმერთობით წატაცებით დაღლილი, სუნთქავს მაინც საქართველო ზურგში ტყვია დახლილი. წმინდა სისხლმა აგვიყვავა ჩვენი წმინდა მიზანი, რუსთაველის ქვეყანა ვართ ძენი დავითისანი...

სტირის ჩემი გამირი ხალხი უცნაური დარია,

მაშ დაგვლოცე, სამომავლოდ. ღვთისმშობელო მარიამ.

ღვას მაინც საქართველო


ერთად ანთებულ ათასობით სანთლები... ბიჭები, გოგონები მართლები, მართლები. რალაც უცნაური სილამაზე განგებენ... სკვითი მებრძოლები, ტანკები, ტანკები. საწმყსოს ლოცავდა ილია მეორე, ლოცვანი მისნი გაიმეორეს; და ზედ აღმართული ეწმკის მახვილი, ზურგიდან, ზურგიდან. ზურგიდან დახლილი. მღერითა მოიწყინა, ეშმაკ ვაიხარა, მოწამეთა სისხლი

„ჩვენი მილიციელი!“

ჯემალ ჩახავა

ნუგზარ შატანიკი

ორი მოთხრობა



გაგანა

— მაჩუ, შე ვერანო! — ვალიკომ გაორ-
ნებულ ცხენს გააგა მუჭი დასცხო, ხელ-
ნებნა ჩაუყენა და ნატკინი მარჯა მოსტრისა.
გუჭა და ილო გარეთ, მესერწინ გამარ...
თულ სკამზე ისხდნენ და ეწეოდნენ. იმათი
სიგარეტები სიბნელეში ციციანთლებივით
ანათებდა.
... მთვარე ღრუბლებს მოშტარებოდა. თებერ-
ვლის ცივი ნიავი უბერავდა და ზემოდან.
მთების მხრიდან, თოვლის დურალი მომ.
ქონდა.
... შა, რა ქენი, კაცო! — გამოსძახა ილომ.
... შო, მორჩა აი, მორჩა! — აჩქარდა ვა-
ლიკო, ცხენს ლაგამი ამოსდო. აღვირში ხე-
ლი ჩაავლო და მოლიავებულ კიშკრისკენ
წამოიყვანა.
... გუჭამ და ილომ სიგარეტები გადაუარეს
და წამოდაგნენ.
... ვალიკომ კიშკარი დაქტა, მერე კოფოზე
აბობდა და ცხენის ურემი რახრახით დაემ-
ვა გუჭაზე...
... ბიჭები უკან აედევნენ.
... სოფელს ეძინა.
... ჭრ მამლებს არ ეუყვლათ და ეტუბოდა
ძალიან გულის ძილში იუვენ, რადგან
ურმის რახრახზე ერთსაც არ დაუყვია.
... ზოგორთან ვალიკომ ცხენი გააჩერა და
უკან მოიხედა:
— დასხდით, კაცო რა ფეხით მოდინართ?
... ბიჭები ურემზე ავიდნენ და ვალიკომ ისევ
დასძრა ცხენი.
... დამძიმებული ურემი ახლა უკვე ნაკლებად
რახრახებდა.
... ციოდა...
... ილომ დაბამბული ქურთუვის უველა ღი-
ლი შეიკრა, ხელნახე ჩამოკრდა და ქული
შუბლზე ჩამოიფხება.
... ქალებს ჩაბლაუქებული გუჭა ფეხზე იდგა.
... მდუმარედ გაიარეს სოფელი. ფერმისკენ
დაუხვიეს და მთვარე გამოვიდა ღრუბლე-
ბიდან...
... ილომ შეიგინა.
... გუჭამაც ახედა მთვარეს. ვალიკომაც.
... კარგა ხანს იარეს მთვარის შუკით განა-
თებულ გუჭაზე. კაცის კაქანება არსად იყო.
... ბუდად, ფერმას რომ მოატანეს, მთვარე
კვლავ შეიმალა ღრუბლებში და ისევ ჩამო-
ბნელდა.
... ვალიკომ ცხენს დაურუტუნა. ფეხი აჩ-
ქარებინა და მალე ნაქებხასც მიაღწინა.
... ილო ურემიდან ჩამოხტა და ფერმისკენ
ჩქარი ნახიჯით დაეშვა.
... ბუდარუგანიდან შუკი გამოდიოდა...
... ილომ სარკმლიდან შეიხედა და დაინახა,
... რომ პატრა-ვანო ტახტზე იწვა, ზემოდან
ნაბადი წაეფარებინა და ტახტიდან ეძინა.
... ილო შეუყურებდა, სიბნელეში ჩუმად გაი-
ხედ-გამოიხედა, კეფაც კი მოიქცევა, მაგრამ
ცდუნებას მალევე სძლია და სარკმლის მი-
ნაზე ფრთხილად მიაკაკუნა.
... პატრა-ვანო არ განძრვობდა, მაგრამ მეო-
რედაც რომ დაუკაკუნა, მაშინ კი ქუცა
თვალში და ელდანაყემი ტახტზე წამოკრდა.
... ილომ გაეცინა.
... პატრა-ვანო ბუდარუგანიდან გამოვიდა.
... იქაურობა ფრთხილად დაწვერა და ილო მე-
რედა შეათვალთვინა:
— მოხვედით?
... შო...
... ვინა და ვინა ხართ?
... მშ და ვალკო ვარო.
... კიდე?

— გუჭაც არი...
... ხო გითხარი, არ წამოიყვანოთ-მეთქი! —
გაბრაზდა პატრა-ვანო.
... კარგი ეხლა, შო.
... რა კარგი, კაცო, რა კარგი!
... კარგი-მეთქი, შო!
... რამდენი ტუჯი მიგაქვთ?
... რა ვიცო... — ჩაუქრდა ილო. — რამ-
დენი დაეღებო ვალიკოს ტაქაზე?
... ცხენით არი?
... შო...
... სამოცი... სამოცდახუთი.
... შო და ეგ არი, რა!
... ფრთხილად იუავით. იცოდე. ეგ გუჭა
მეორეც აღარ დამანახო აქა!
... შო, კარგი, კარგი...
... პატრა-ვანომ ერთხელაც მოათვალთვინა
იქაურობა და ბუდარუგანში შეიშალა.
... ილო ზემოდან, ნაქებისკენ წავიდა. მიდიო-
და და თან გზადაგზა ეღიმებოდა.
... გუჭასა და ვალიკოს თითქმის უკვე სანა-
ხევოდ მოეყარათ ურემი.
... ილო ზედ ავიდა. ახლა იმას აწოდებდნენ
მავთულით შეკრულ ნაქის მიძიე ტუქებს.
... ილოს აგურის ქედლევიით აშავდა —
... ტუქს რუჯე აბაბდა და ისე განივრად წაი-
ყვანა, რომ ქალებს თითქმის მეტრზე გადა-
აცილა აქეთ-იქით.
... შეუსვენებელი იმუშავეს და სულ მალე
ისე დაიხეტია ურემი, რომ სამოცი კი არა,
... რატომ ოხმხმოც არ იქნებოდა!
... ვალიკომ ახლა თოკები აუყარა ილოს.
... იმან ზემოდან გადაატარა და წინიდან ჩაა-
წოდა, გუჭამ და ვალიკომ მაგრად დაქანჩეს
ის თოკები და ხელებს ჩაახებს.
... ილო ძირს ჩამოვიდა:
... გაუჭავრდი, ვალიკო!
... ვალიკომ ცხენს ადვირში ჩაავლო ხელი და
გაქცია:
... მაჩუ, შამილი!
... ცხენი დაიძვარა, გაიქიფა, მაგრამ ურემს
ძვრაც ვერ უყო.
... მოაწვეით, კაცო! — დაიძახა ვალიკომ.
... გუჭა და ილო უწინდან მიაწვენენ.
... ვალიკომ ცხენს ჩიხვირში მუჭით უთავა-
ზა და იმანაც დიდი წველებით, მაგრამ მა-
ინც ადარა ურემი. მთავარი ეგ იყო — რაკი
ერთი დაიძრა, მერე მძიმედ, ჭრიალით წა-
ვიდა რობლ გუჭაზე...
... ბიჭები ერთხანს კიდე აწვებოდნენ, ბო-
ლოს თავი გაანებეს.
... მთვარემ ისევ გადაიყარა ღრუბელი და
იქაურობა დღესავით გაანათა. ახლა ხელის
გულივით მოჩანდა მთელი მინდორი: ქვემოთ
ფერმის გრძელი, დაბალი შენობები, თეთრი
გზა და იმ გზაზე მიმავალი ნაქით დაწვი-
ნული ურემი.
... რა ვქნათ, ე, როგორ წავიდეთ? — შე-
წუხებული ხმით გამოსძახა ვალიკომ ბი-
ჭებს.
... ზემოდან მოუაროთ, ზემოდან!
... მარჯვნივ გადაუხვიეს და აღმართს შე-
უყვინენ.
... ცხენს უჭირდა აღმართზე სიარული და ვა-
ლიკომ წამდლაუწუმ იხვეწებოდა. მოაწვეითო.
... ეგრე წველებითა და ტანჭვით აიარეს ის
აღმართი. ორდობენ რომ შევიდნენ, მაშინ-
და ამოიხუნთქეს თავისუფლად.
... შილი, გააღე! — უთხრა ილომ გუჭას.
... გუჭა დაწინაურდა, თავისი ეწოს კიშკარი
შეაღო და მერე ალაყაფიც ურთამდე
მოაღო.
... ურემი ჭრიალით შევიდა ეწოში.
... ფანჯრებამოღობული სალიდან ჩამიჩუ-
ბი არ ისმოდა.
... სანამ გუჭა თოკებს ჩახსნიდა, ილომ ვა-

ლიკო გვერდზე გაიყვანა და რაღაც უთხრა.
... იმან ჭერ იუარა. გაჭავრებულმა წახსვლე-
ლადაც კი გაიწია, მაგრამ, რაკი ილო აღარ
მოეშვა, ხელი ჩაქინა და გაუქნდა.
... ილო ზემოდან აბობდა და ურემის დაც-
ლას შეუდგა...
... ვალიკო მოშორებით იდგა. განზე იკვი-
რებოდა.
... ურემი რომ თითქმის განახევრდა, გუჭამ
მაშინდა ამოილო ხმა:
... მაიცი, კაცო, რას აკეთებ შენა?!
... ეგრეა, ეგრე! — ახლოს მოიწრა ვა-
ლიკომ.
... რა არი ეგრე?! — გაუჭვრდა გუჭას.
... ჩვენ ხვალ კიდე ჩავალთ... — უთხრა
ილომაც.
... აბა, ეხლა ეგ რა გამოვიდა, კაცო...
... ხმაში კმაყოფილება გაეძარა გუჭას.
... შო, ეგრეა... — თქვა ისევ ვალიკომ.
... ილოს გაეღიმა.
... მაშინ... — გუჭა გაბრუნდა და სახლის.
... კენ წავიდა.
... არაფერი გინდა ეხლა. გამიგე ბიქო! —
... გასძახა ილომ, მაგრამ გუჭა უკვე დერეფ-
ნის სიბნელეში შემალულიყო.
... შილი, ვალიკო, კარები მიხურე! — გაღ-
მოსძახა ურემიდან ილომ.
... ვალიკო წავიდა, გუჭაზე გავიდა და იქაუ-
რობა მელახავით ფრთხილად მოათვალთვინა.
... მერე ალაყაფის კარი მიხურა და უკანვე გა-
მოხრებოდა.
... სანამ ილო ურემს დასცილიდა, გუჭამ გა-
მოიტანა ორი პური, უველი, არაუი და წი-
წაკის მწნილი, ეს უველათფერი ერთ ტუჯზე
დააწოდა და კიჭები შეავსო.
... ამისობაში ილომ მორჩა საქმეს, ურემიდან
ჩამოვიდა და დალილი, გაოფლილი ზვინად
დამდგარ ნაქაში ჩაეცა.
... გუჭამ განზე გამდგარ ვალიკოს გაახედა:
... შილი, კაცო, ვალიკო!
... რადეცნობდა განაზებული ვალიკო წამო-
ვიდა. ილოს მორიდებით მიუქცა გვერდით
და სულრე მოათვალთვინა.
... გუჭამ კიქა აიღო:
... აბა, გავემარჯოს... რა ვქნა, აბა, სძი-
ნათ, თორე, ხო იცი...
... კაცო და, რა დროს არყის სმა ეხლა?!
... გაეცინა ილოს.
... შილი, შილი!
... კიჭები ერთხანს მიუქახუნეს და და-
ლიეს.
... შო... — გაურულო ილოს და პურს
დასუნა, — ჭანჭურია?
... შო... ჭანჭური, ლოდნო, ქლიავი...
... რა ვე, სუ ერთად არი.
... გუჭამაც გატეხა პური და ვალიკოს მია-
წოდა.
... ძახლდნენ და უხმოდ ქამდნენ.
... მერე გუჭამ ისევ დაასხა არაუი.
... ორი სახარება შეგვეწიოს, — თქვა ვა-
ლიკომ.
... იცოცხლე...
... ქვემოთ, თხლაშაძინათ უბანში მამალმა
იუვიდა, იმას აქეთ, უფრო ახლოს მეორეც
აშვეა. მერე გუჭას საქთმემიც ატყდა ფრთე-
ბის ფართოხუნი და ხრიჩნიანი უვიდო.
... დგოის ცეცხლი! — გაიცინა გუჭამ.
... შაი, წალდი უნდა მავასა, წალდი! —
... დაიძახა გუნებამოკეთებულმა ვალიკომაც.
... არაუმა სამივე გაათბო და წელანდელი ში-
ში და წვალეზა დაავიწვა. ნაქაში თბილად
ისხდნენ, ხელში არყით გაპიპინებული ბი-
ჭები ეჭირათ...
... სამი სახარება შეგვეწიოს!
... იცოცხლე!
... შეგვეწიოს.

ცხენი მორჩილად იდგა. ხანდახან იყო გა-
ყოფილება ლაგამი კიბეების ძალი დაე-
ლაგებდა...
... ერთხელ, კაცო, ომიანობის დროს, —
დაიწყო ვალიკომ, — აბა რა ვიქნებოდი, აი,
შენი გვიან ხნისა, ილო, მეთისა ხო არა...
... შე. ეს ჩვენი დაბდური კოლა, დალაქი... დაი-
ცა, კიდე ვინ იყო?... შო, დომბურის ისი-
ნიც პატარები, ჩემხელები — ცხრა-ათი
წლისანი. აქედან ვართ აი, ცაცხვებზემო-
დან, საგუბარზე. ტანტარები, კაცო! ვში-
რობთ, რადან არ ვამბობ... უცბათ, მოგვიტ-
რაილა ეს ჩვენი დაბდური და გვეუბნენ...
... აქამო, აი, — ვალიკომ ილოსა და გუჭას
ხელის ზურგი აჩვენა და ცერის ფუძესთან
პატარა ჩაღმავებულზე დაიდო თითი, —
... ამაში რა წყალი ჩაუყენო, სამების გორაზე
აიტანო და ეკლესიის სამჭერ შემოატარო,
... უველანიირი ნატვრა ავიდებო! აბა, რა ქუქა
მოგვეკითხებოდა მაშინა, თანაც ამ ჩვენი
დაბდურის მამა — ბიძაჩემი ისაკა ოშია,
... კოლასიც, დომბურისაც. მართო ჩემი და
... დალაქის მამები არიან შინ. ჩავუთქვით უვე-
ლამ ჩვე-ჩვენი ნატვრა, ჩავიყენეთ წყლის
... თითო წვეთი და ეგრევე, შიშველ-ტიტვლე-
ბივე დავადექით სამების გორის აღმართს...
... შენ რა ჩაუთქვი? — ეშმაკურად მო-
ქუტა თვალები ილომ.
... რა ვიცო აბა, რაღა მახსოვს...
... შა, თქვი ეხლა, ნუ გვიმალავ!
... არა, კაცო, მართლა არ მახსოვს...
... გაიცინა ვალიკომ და ამ სიცილე შეეტყო.
... რომ ძალიანაც კარგად ახსოვდა.
... მერე? — მკითხა გუჭამ, თან ხელის
... ზურგს ითვალთვინებდა.
... რა მერე... ავიტანეთ და სამჭერაც შე-
მოვუარეთ. მაგრამ ბიძაჩემი ისაკა ხო დაი-
... ლუპა ოში, დომბურის მამაც — საწყალი
... ივანე, კარგი კაცი... მართო კოლასი ჩამო-
... ვიდა და ისიც ხეიბარი, ორთავ ფეხებდაქ-
... რილი.
... შენ რა იცი, იქნებ სხვა რამე ჩაუთქ-
... ვოს... — ისევ ხელის ზურგზე დაიციქი-
... ბოდა გუჭა.
... იმ... სხვა რამე კი არა!
... შენა? — დომბურის მკითხა ილომ, —
... არც შენ ავიხდა ნატვრა?
... ვალიკომ ნაღვლიანად გაიღიმა:
... შე რა, შე აი, ხო მიყურებ...
... გარუმდნენ და ახლა ილომაც დაითვალთ-
... რა ხელის-ზურგი.
... ცხენი ნაქას მისწვდა. მაგრამ ავზარამ არ
... გაუშვა და გულკავრიანად ამოიქშინა.
... აბა, გავემარჯოს! — თქვა ბოლოს
... გუჭამ და გადააქრა.
... იცოცხლე...
... შა, ვალიკო, რა ჩაუთქვი, აღარ იტყვი?
... მხარი გამკრა ვალიკოს ილომ.
... ეე... არ მახსოვს-მეთქი, კაცო, ვერ
... გაიგე?!
... ბიჭებს გაეცინათ.
... შო, კარგი, კარგი, გავემარჯოს...
... ილომ კიქა გამოცალა, დაიქუანა და წი-
... წაკის მწნილი დაემკვრა.
... მთვარე ღრუბლებში შეიშალა, ჩამო-
... ნელდა.

გეგატი ოლა

გეგატი ოლა უჩადავს — ილოსა და ვანოს
პირველად კენჭყარაზე შეხვდა და, მართა-
... ლია, აქამდე ჭერ თვალთაც არ ენახა ისი-
... ნი, მაგრამ მაინც მაშინვე მიხვდა, რომ ერ-
... თი ილო უნდა ყოფილიყო და მეორე კიდეც
... ვანო.
... სოფელში და მთელს იმ არემარეზე უველას,
... დიდას და პატარას, ილოსა და ვანოს სე-
... ლები ეკრა პირვე:
... ილო და ვანო მწველებს დასცივიან მოა-
... ში და ორმოცი მართო სულ ნარჩევი ჭედილა
... წაურთმევიათ...
... ილომა და ვანომ ნახებვარზე ცხავე-
... რელი იოსები დასოცეს...
... ილოსა და ვანოს გორგიჯანოვისთვის
... შემოუთვლიათ: იცოდე, ზახარ, თავი და-
... გვანებე, თორემ, დედას გიტარებთ, საყუ-
... თარი ცოლ-შვილის სორცს შეგაშეშებო!
... ცხენი და სხვა კიდეც ამათზე უარები
... ხნები დადიოდა ილოსა და ვანოზე, მაგრამ
... იმათი დანახვისან გეგათ ოლა არ შეშინე-
... ბოა, აურჩარებლად შეათვალთვინა ორივენი,
... წყაროდ მიენახლა, აურჩარებლადვე ჩაჭდა
... წყაროს პირზე, ხილბანდის ყურები შეისხ-
... ნა, პეშვით სახრე ცივი წყალი შეიპყრა
... და სევეთ ხელის გული უველ-ისხრე მო-
... ინვა.
... ილო და ვანო (თუ კი მართლად ილო და
... ვანო ივენენ ეს ბიჭები) კარახინებშემართუ-
... ლები ზურგშექცევით იდგნენ ერთმანეთთან
... და ერთი რომ წყაროს პირზე ჩამოჭადარ
... გეგათ ოლას ათვალთვინებდა, მეორე გეგა-
... ტივებული სახით იმ ბილიკს ვასცქეროდა,
... რომლთაც დედაბერი მოვიდა.
... ახლადგამოკვეთილი ჯანტყვილებითა და
... ამწვენულები თილის ბუჩქებით ჩამობუ-
... რული ამ პატარა, ჩავარდნილ ტაფოში მარ-
... ტო ის ერთი ბილიკი შემოდიოდა და ისიც
... ჭკვი, წყაროსთანვე თავდებოდა, ისე, რომ
... ორი მარჯვე მსროლელი აქ ოცხა და ოც-

პროზა

დაათ მომხდურსაც იოლად მოიგერიებდა. რაკი ღარწმუნდნენ. საფრთხე არსაიდან გველისო, უჩაღდებმა კარაბინები ძირს დაუშვეს და დედაბერს სალამზე ახლდა უპასუხეს.

ამასობაში გეგათ ოლასაც მოეკლა წყურვილი, მაგრამ ისევ ისე იქცა, ხილბანდს იკრავდა და ბიჭებს გულმშვიდად ათვალთვრებდა.

ილო და ვანო ერთნაირად შუატანის, კარგად მოყვანილი ვაჟკაცები ჩანდნენ, ერთს კუპრივით შავი თმა და წვერი-ულგავაში ჰქონდა მერორეს — წაბლისფერი. ერთს კეხიანი წვერი და შვილიდრის მოზიდული წარბები ამშვენებდა. მერორეს — მალაღი შარბლი და თაფლისფერი თვალები. მკერდზე ორთავი ერთნაირი სავანეები გადაეჭირათ, მხარბილივ კი ერთნაირი მაუჭერები ეციდათ.

— ვინა ხარ, დედი, სადაური ხარ? — ჰკითხა დედაბერს შავგვრემანმა და მიუახლოვდა.

— აქაური ვარ, შვილო, აგე. იმ სოფელში... სატატურზე ვიყავ და წყალი მომწყურდა.

მერე ნათქვამის საბუთად კალთიდან სატატურის დაუქების მოზრდილი კონა აიღო და აჩვენა.

— ჩვენ იცი ვინა ვართ? გეგათ ოლამ ჭერ ერთს ახედა, მერე მერორეს და მხრები აიჩინა:

— აბა, რა ვიცი... ქართველები რო ხართ, გიტყობათ...

შავგვრემანმა თავის ამხანაგს გადახედა და იმანაც სულ ოდნავ, ძლივს შესაძინევად დაუქნია თავი.

შავგვრემანმა ჩაცუცქდა, კარაბინი მუხლებზე დაიდო, უხერხულად ჩაახველა და კეფა მოიქეცა:

— რადაც უნდა გთხოვოთ და დედაშვილობამ უარს ნუ გვტყვი...

— ზო.

— პური გვშინ, დედი... მესამე დღეა ნაწილ-მოწყალემა არ ჩავსვლია პირში... ბიჭს ხმა ჩაეხრინა და უკლი რომ ჩაეწმინდა, ერთხელ კიდევ ჩაახველა, — თუ კი რამე გეშინება, წადი და გადმოგვიტანიე...

მერორემ, წაბლისფერთმანამა ამ სიტყვებზე პირი იბრუნა, ვითომდა ბილიკს გაჰხედა და საწვერად.

გეგათ ოლამ წამოიღო, კაბაზე ხელის გული ჩაიხედა: — მოგაკვდიო, შვილებო, ჩემი თავიო... მერე ველარაფერი თქვა და ბილიკს ჩქარი ნაბიჯით გაუშვა.

— დედი...

გეგათ ოლამ გაჩერდა, უკან მიიხედა, მაგრამ შავგვრემანმა ხელი ჩაიქნია და უთხრა: — არა, არაფერი... წადი.

შინ რომ მივიდა, გეგათ ოლამ ცეცხლი დაანთო, ზედადგარზე თანგირა კვებით წყალი შემოიღო, შვილიშვილი — თორმეტი წლის კაკოს ორი კარგი შარბანდელი ნაცარა დედალი დააქერინა და ხელში წაიღო მარჩხა. თვითონ შინ შებრუნდა, ცეცხლს შეშა შეუშატა და დაიწყო მუხლებში ხელის ცემა და გაურკვეველი ზეზუნა.

კაკოს ფეხის ხმა რომ მოესმა, დედაბერმა ცრემლი შეიმშრალა, წამოიღო, შვილიშვილს თავებდაკრილი, მაგრამ ჭერ კიდევ თბილად მორთოდავი ქათმები გამოართვა და თაბახზე დააწყო. მერე კვახს სახურავი ახხადა, ცეცხლს ჩინჩხვარი შეუკეთა და სულ ცოტა ხანში წყალიც აჩუხრუნდა...

— ვის ელოდები, კაცო, აღარ იტყვი? უკვე მერამდენედ ეკრთებოდა გაკვირვებული კაკო, მაგრამ გეგათ ოლამ ხმას არა სცემდა, ტურნემოკუმული რადაცნაირი სიკერპით ირებოდა: დედლები დაფუფქა, დაბრტყენა, დატუხა, გამოწლა და კარგად დარტყნა. მერე მიუკეთა ცეცხლს რცხილის ხმელი ნაპობები, მოიტანა ახალი, უფრო მოზრდილი ქვაბი, ჩაალაგა შიგ ქათმები, შემიუქნა წყალი და შედგა ცეცხლზე. ჭვითონ კომოდის უკრიდან თეთრი, ქათქათა ტილოები ამოალაგა და მარანში შევიდა.

ჭერ მიქდა მარნის სიბნელეში, იტირა, იზუზუნა, კარგად მოიხნა გული, მერე ჩამოიღო თავზე დაკიდებული მანეულის დიდი კალათი, დაბრტყა, მტვერი გააცალა, გასუფთავა, შიგ ტილო ჩააფინა. ხარბიდან ღორის დამარბილებული ნაფერდალი ჩამოსხნა, დერგიდან ერთი დიდი კვერტული ყველი ამოიღო, ისინიც ტილოში შეახვიო. ორჩარქიანი საღვინე არყით გაავსო, ჩაალაგა ესენი კალათში, ჩაუშატა ოდნავ შემქნარი, მაგრამ მაინც ჭერ კიდევ ლოყაწითელი ვაშლები, ჩურჩხელები, ხახვი, ნიორი... დალაგა ამ ყველაფერს ზემოდან ექვსი თანამავით რბილი პური, კალათს ჩაის ტილო გადააფარა და იქვე, მარნის ბნელ კუთხეში მიდგა.

კაკო ცეცხლთან იქცა და ათუხთუხებულ ქვაბს, საიდანაც მადისაღმძვრელი ოხშვიარი ამოიღო, პირზე ნერწყვამოღვარი მისჩერებოდა.

გეგათ ოლამ ქვაბს სახურავი ახადა, წვეწვს ქავი მოხნა, გაფქვინა ორი თავი ხახვი, ორფე ოთხად გაჭრა და ქვაბში ჩაყარა. მერე იქიდან უკვე მოხარული ორივე ღვიძლი თეფშზე ამოიღო, ზედ მარბილი წაყარა და ბიჭს წინ დაუდგა:

— აბა, პური შეატანე, იცოდე, ისე არ შექამო!

— მაშ არ იტყვი, ვის ელოდები? — კამე და მერე წყალი მომიტანე!

ბიჭმა ცხელ-ცხელი ღვიძლები სულმოუთქმულად შეხანსლა და კმაყოფილმა კოკებს წამოავლო ხელი.

ბიჭი რომ გაიგულა, დედაბერი წავიდა და მარბიდან კალათი გამოიტანა. მერე ისევ კვახს მიუბრუნდა — ქათმები თითქმის მობარშულიყო, ჰა და ჰა, სულ ცოტადა აკლდა. გამოიღო თახჩიდან ჭამი, ზედ ჩამოიწვენი ამოიღო, გაავრია, შიგ პურის ფქვილი ჩაყარა და კოვლით კარგად გაქნა. ამოაღო მერე მოხარული დედლები თაბახზე, კვახში ნელ-ნელა ჩაუშვა საფანელი, ჩაახალა შიგ ორი კვერცხი, ჩინჩხვარა ქინძით, მარბილითა და ძმრით შეაგემა და ცეცხლიდან გადმოიღო...

კალათი მხარზე ჰქონდა შედგმული და ჭეჭილბოროის მიმავალ ბილიკზე გაჩქარებული მიდიოდა. სოფელი ისე გამოიარა, არავინ შეშხვედრია, ან კი ვინ უნდა შეშხვედროდა — გაზაფხული იდგა, ქვეყანა ბად-ვენახებში იყო გაკრფილი. ტვირთის სიმძიმეს ვერც კი გრძობდა, ციმციმ მიბქონდა. თანდათანობით რადაც უცხო, უცნაურად ხაამ გრძობდა ეუფლებოდა და რაც უფრო მეტად უახლოვდებოდა ქვეყარას წყაროს, ეს გრძობაც უფრო და უფრო ემატებოდა.

სანამ წყაროსკენ გადაუხვედა, კალათი დაღა და იქაურობა ჩუმად დაზვრა: კაცის ჰკანება არსად იყო, აქედან სოფელიც ძლივას მოჩანდა და გული საგულეს ჩაიღო. მერე კალათს დასწვდა, მაგრამ მხარზე აღარ შეუდგამს, თბილბითა და ჭაგრცხილბით დაბურულ ბილიკს ისე გაუქვა.

წყაროსთან არავინ დახვდა... დაღა და გარშემო გაკვირვებულმა მიმოიხედა, — ნეტავი ხომ არ მომჩვენებენ ის ბიჭებიო — გაიფიქრა. ახლდა იგრძო, როგორ დამძიმებულიყო კალათი, რანაირად სტკიოდა მხრები, მკლავები...

უეცრად, ზემოდან, ტუთ დაბურული მაღალი ფერდობიდან სტველი მოესმა და უხრები ცქვიტა, ახლადგამოკვრტული წვრილიანი თემწვანებულ ფერდობს უხმოდა ახხედა.

— დადგი, დედი, ეგ კალათი და წადი, ღმერთი გადაგისდის... — მოესმა ნაცნობი ხმა.

გეგათ ოლამ კალათი წყაროს პირზე დადგა და სანამ წავიდა, ფერდობს უთხრა: — აქც ცხელი კერძია, შვილებო, ქვაბითა, არ გააციოთ!

მინდორზე რომ გამოვიდა, იქაურობას თვლი მოავლო და თითქმის გულიდან შიშილოლი აცალესო, სასიამოვნო შეგბა იგრძო.

მზე ჩასასვლელად დაღერილიყო და დასავლეთით, ცისკიდურზე გაწოლილი გრძელი ღრუბლები ვარდისფრად შეეღება. საღამოს სიმშვიდეში მკაფიოდ ისმოდა გუგულის შორეული ძახილი, მარში გაზაფხულის ნაზი სურნელი ტრიალებდა.

ჭეჭილბოროის ჩაწოლილი ბილიკს ნელი ნაბიჯით გამოუქვა. მოდიოდა და ბეჭე გადმოიღვარი სოფლიდან ძაღლის ყუფა და საძირვებიდან მობრუნებული, ხმორემონატრებული ფურების აღერსიანი ზმული ესმოდა.

ეს ამბავი მოხდა აპრილში, ადგამის კვირახალზე: მას მერე დღე არ დაღამდებოდა, რომ გეგათ ოლამ ილო და ვანო არ მოგონებოდა. საკუთარ სადარბებულსა და თავისსაცემს რა გამოუღვდა, მაგრამ ხშირად, ბოსტანში მომუშავეს თუ ძროხის ცურთან ჩაცუცქულსა და იმის თბილ ფერდზე შუბლმიდებულს გაუჩერდებოდა ხელი, გაუშტერდებოდა თვალები და გარბილებული იმაზე ფიქრობდა. სადამობით კი მთელი დღის ჭავით მოლოდინი და მოქანცული დასძინებლად რომ ემზადებოდა. გადაიწერდა პირჯარს და იტკოდა: — ღმერთი!

თო მაღალი, შენ გადმოხვეუ სიყუთის თვალთ ჩემს შვილებს, შვილიშვილებს, შინაურსა და გარეულს. შენი, მაღლიანი კალთის ქვეშ ამყოფე ის საწყლებიც — ილო და ვანო.

იმაზე კი, ილოზე და ვანოზე, ისევ დადიოდა ავი ხმები? ამა და ამ ადგილზე მავან კაცს დასცემიან, ესა და ეს უცემიან, ესა და ეს მოუკლავთო და სოფელშიც ისევ ძველებურად აშინებდნენ გაჭირვებულ ბალებს დედები — ჩუმად, თქვე გასაწვეტლებო, თორემ, იცოდეთ, ილო და ვანო ჩამოვიღიან და თავებს დაგაჭრიანო!

გეგათ ოლამ, რა თქმა უნდა, სჭეროდა იმ ავი ხმებისა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, ილოსა და ვანოს მაინც დამცველად უდგებოდა — მგელს მგლობა ერქვა და ტურამ ქვეყანა ამოაგდო, რასაც ვინმე რამეს დააშავებს, უველაფერს იმათ კი ნუ დააბრალებთო.

იმ მაშინდელი ამბის შესახებ კი კრინტი არავისთან დაუძრავს, იცოდა თავისი შვილების ამბავი, ყვედრებით სულს ამოხდიდნენ — ჩვენს ნაშრომ-ნაშაგარს ავაჯავებს აქმევო...

ეგრე ჩაიარა გაზაფხულმა, მიწურა ზაფხულიც და ავიტკოს ბოლოს ხმა გავარდა — ილო და ვანო დაუბოციათ და თავებდაკრილები კენჭყარაზე ურიაო.

დედაწულიანად აიყარა მთელი სოფელი და სერიის სანახვად კენჭყარაზე ჩავიდა.

გეგათ ოლამ შინ დარჩა. მატული ჰქონდა გასაშრობად გაფენილი. უველანი რომ გაიკრიფნენ, აილო სახრე და დაიწყო მატულის პენტვა. თან პენტავდა, თანაც ცალი თვალი და უური გზისკენ ექირა.

მზე რომ კარგად გადავიდა, მოვიდნენ კაკო და იმის მიმდევრო ძმა შიშისგან გამწვანებულები. დედაბერს არაფერი უკითხავს, პირმოკუმული, სახეგაქვეებული მატულის პენტავდა, მაგრამ ბიჭებმა თავად უამბეს ნახბი და გავრილი: თორემ, ილო და ვანო ხხეებს კი არ დაუბოციათ, არა ილოს ვანო მოუკლავს და ვანოს კიდევ ილო. არავინ იცის რაკომ და რისთვის — დამდგარან ეგრე, ერთმანეთის პირისპირ, ილოს ვანოსთვის მიუცია პირში თავისი კარბინის ტური, ვანოს — ილოსთვის და ერთდროულად გამოუკრავთ ჩახხხები, ეგრეც უნახავთ — მეველი გულას უნახავს — ერთი იქით ყოფილა გადავარდნილი, მერე — აქით. შეუტუბინებიათ გორგიჯანოვისთვის ეს ამბავი, იმასაც გამოუგზავნია ცხენებით თავისი კაცები და დაუბარებია: — დააქერით თავები და აქ ჩამოიტანეთ, მართლა ისინი არიან თუ არაო.

— მერე? — ახლდა დასძრა ხმა გეგათ ოლამ.

— რა მერე?! ისევ იქა ურია... — უთხრა გურამამ, კაკოს მიმდევრო.

— თქვენი თვალთა ნახეთ, ბიჭო? — ახლა კაკოს მიუბრუნდა დედაბერი.

— ზო... გორგიჯანოვს შემოუთვლია, არ დამარხოთ, თორემ ციხეში ამოვალბობთო.

გეგათ ოლამ დაპენტილი მატული საფენში გამოკრა, შინ შეიტანა, ოთახის კარი შიგნიდან ჩარაზა და საღამომდე გარეთ აღარ გამოჩენილა.

სადამობით მოვიდნენ გეგათ ოლამ შვილები რადაცნაირად გულჩახურულები, დაღვერილები. ჩუმად, უსიტყვოდ მიუსდნენ ვახშამს... კაკომ და გურამამ პირი ვერაფერს დააქარეს, არც გეგათ ოლამ გაუღვქია ლუკმა. ბიჭებმა არაყი დალიეს უხმოდა, უდედგრძელებლად. ილოსა და ვანოზე ნავახშმევსლა ჩამოაგდეს სიტყვა: — მა რა ეგონათო, — ამბობდა კოლა, — ეს ქვეყანა ჭერ არავის შერჩენიაო... — მოვო, ეგრეო, სამართალმა პური ჰამაო! — უდასტურებდა გოგია.

იმ ღამეს გეგათ ოლამ თვალი ვერ მოხუტა.

მერე დილით ადგა ჩაქვცა შიშისკა შავი ლეჩაქი და წავიდა კენჭყარაზე...

მოქილი მინდორი რომ გადაიარა, ქვეყნობით დაბურულ ტაფობს წაიღო, მუხლთ მოუკვეთა, გულმა სულ ბაგაბუჩი დაუწყო, მაგრამ ძალა მოიკრიბა და წყაროსკენ მიმავალ ბილიკს დაადგა.

შორიდანვე დაინახა ორი საცვლებისამარა, უთავო გვამი, ერთი წყაროს იქით ეგდო, მერე — აქით. ერთი პირქვე, მერე — გულამდა.

ბუჩქებიდან ურანტალით აფრინდნენ შავი უორნები.

გეგათ ოლამ ახლოს მივიდა... ერთსაც და მერორესაც უამრავი ბუჩი და ბუჩანალი ეხვია. ბუჩი ეხვია მიწაზე, იმათ კისრებთან დაქცულად, შავად შედედებული სისხლის ლეკვრებსაც.

დედაბერსა თბილის ბუჩქს ტოტი შეაცალა, გვამებს შუაში ჩაუჭდა და მოჰყვა იმ ტოტით ბუჩების ქშევას...

გულამდა რომელიც ეგდო, იმას აქეთ-იქით გადაეყარა მკლავები, მუცელი გამბერვოდა და შიშველ, დაუვითლებულ ფეხებზე შავად აჩნდა ძარღვები. მერორეს ცალი ხელი ქვეშ მომყოლოდა, მერორეთი კი ძირიანად მოთხრილი ზალახები ჩაებლუჭა.

დედაბერი გრძობდა, როგორ ნელ-ნელა უხვედებოდა გული, შიგანი, სახეგაქვეებული. ტურბემოკუმული იქნევდა თბილის ტოტს და მკვდრებს გამგელებულ ბუჩებს უგერიებდა.

მალა, ცაში, უკმაყოფილო ურანტალით დაფრინავდნენ შავი უორნები.

კოლამა და გოგია ორი დღე და ღამე ქებებს დედა, ქვეყანა შეაჭრეს, გლმა სოფელშიც კი გაზაფხვის კაცი იქ გათხოვილ დედასთან, მაგრამ ცამ უყო პირი თუ მიწამ, ვერაფერი შეიტყვეს.

მესამე დღეს მეველი გოლამ მოიტანა ამბავი: გეგათ ოლამ შემოგოთვლიათ — ჩამოვიდნენ, ეს მკვდრები დამარხონ, თორემ საქვეწოდ შევარცხვენო!

კოლა და გოგია გადაირივნენ — რა უნდა, კაცო, ციხეში ხო არ უნდა ამოვალბობინოს ჩვენი თავები გორგიჯანოვსაო. არსადაც არ წავალთო, იჭდეს იქა მშვირმწყურვლი და უქშობს ბუჩებშიო!

სოფლის ორ-სამ დედაკაცს მაინც ვერ გაუძლო გულმა — ჩავიდნენ, ჩაკითხეს გეგათ ოლამ კენჭყარაზე, სადამობით კი თვითონ გეგათ ოლამ მოვიდა სოფელში. სახე შეშლილი, თმაგაწეწილი მოდიოდა გზაზე და საკუთარ ნიფხავს მოაფრიალებდა.

სანახორზე შეურილობა, ამის დამხანავმა კაცებმა დედაბერს გზა უტკიდა, მაგრამ გეგათ ოლამ იმათ ზედ მიადგა ნიფხავი გადაუგლო და უთხრა:

— აბა, კაცებო, აეგ დასჭერით და საითთო კუდი შაიკერო უველამა!


მერე შებრუნდა და შინისკენ წაიარა ცადა.

კაცები კარგა ხანს იდგნენ თავჩალუნულები, კვის კედელს აკრულები, იმ კედლის ფრად სახეატეტკილები. მერე, როდის, როდის დააკარაუნა ერთმა კბილები, მერორემ შეიგინა, მესამე ჩავრიანად გადააფურთხა მტვერში, მეოთხე, ვინც უფრო ახლოს ცხოვრობდა, გაიქცა, შინიდან ნიხა-წერაქვი მოიტანა და დაეშენენ კენჭყარასაკენ მიმავალ გზაზე. მიდიოდნენ ჭიბრიანად მხრებამართულები, სიმხნევის შუქით სახეგანათებულები.

მზე კი ჩაიღოდა, გაჩქარებით მიგორავდა ქვემოთ. ნარინჩისფრად აფერადებულ ღრუბლებს შორის მიიკვლევდა გზას და სხვა ქვეყანაში მიმავალი სულასწრაფებული ემშვიდობებოდა ამ ჩვენს ცოდვა-მადლიან მიწას.



ეროვნული გიგლიორთქი



ონი, XI, პარიზი, 1966, გვ. 147.

აირესში გამოცა აკ. პაპავას ლექსების კრებული „უცხო კიშკარ-თან“.

აკი პაპავას ლექსები წარმოადგენს თავისებურ მხილებას საშობლო მომზრებით განცდილი ხულიერი ტანჯვებისას. მის ლირიკას ახასიათებს ხალხური სიხადვე:

„შენზე ფიქრებმა ამავეს, ლოცვით ვღებდი და ვწვებო, თუნდ დამივიწყო, დაბადლო — მაინც შენთანა ვრჩებიო“.

მიტოვებული ბებერი თბილისის და მისიხს დღეების ნადვლიანი მოვონება გამოხატვის აკ. პაპავას ლექსში, რომლის ბოლო ორ სტრიქონს ყველა დიდი პოეტი ინატრებდა:

„ზღვა დროებში, სამფერები ათას წლოვან ქვაზე, ზღვა დროებში, სამფერები ძველ ზარების ხმაზე; მოეღვარე ვაზის ჭვარი, წმინდა ნინოს თამაზე“.

ჩვენ გვერდს ვერ აუვლით გალაკტიონის კილოზე აწყობილ აკ. პაპავას ერთ მშვენიერ ლექსსაც:

„გახსოვთ, გახსოვთ თქვენ თბილისი იმ დღეს მოკაშკაშე, კვლავ ამდგარი ვიქნები, სიყვარულით სავსე, ქრილობები მორჩენილი, და იები ხავსზე

აკი პაპავას კალამი პოეზიაშიც უცდია. მისი პირველი ლექსები ჯერ კიდევ ლტოლვილ-ზამდე საქართველოში, „ჩანგში“ ყოფილა გამოქვეყნებული. უცხოეთში დაწერილი ლექსები აკ. პაპავას 1960 წელს, ხანტაიგო დე ჩილეში ერთ პატარა კრებულად შეურავს ხათურით „1500-წლოვან თბილისს“, რომელშიც იგი უცხოეთიდან მიხალმება თბილისს და მცხეთას, მტკვარს და კოჭორს, მამადავითა და 26 მაისს, აქედან ემშვიდობება მათ და თუ მართალია რილკე, როცა ამბობს: „ყოველი დამშვიდობება პატარა სიკვდილს უდრისო“, — მაშ რამდენჯერ მომკვდარა აკი პაპავა?! მართლაც, „აკი პაპავას ლექსები ქართული ეროვნული ემიგრაციის ეროვნული ტკივილების განუღებია“, „ბავშვით ხარობს იგი, როცა იგონებს „თბილისის ღამეს“, „პარასკევობას“, „რთველს კახეთში“; ყველაფერი, რაც საქართველოს აგონებს, ამქვეყნიური სამოთხეა პოეტისათვის და მათი თვლით ხილვას ოღონდ მოეწეროს, მერმე თუნდაც მოკვდეს“ (დ. ვაშაძე).

აკი პაპავას მიერ ხან-ფრანცისკოში 1989 წლის იანვარში დაწერილ ლექსს „ჩემი ზიარება“ წავაწყდით ჟურნალ „ქართლის ხის“ ერთ-ერთ ნომერში (№ 18-19, პარიზი, 1989, გვ. 272), ხადაც იგი ქეიბურის ფხედონიშითა დაბეჭდილი. საშობლო სიღვიძის დაუოკებელი სურვილით შეპყრობილი ქართველი მგოსანი ქეშმარიტი პოეტური გზებით გადმოგვცემს თავის ზინაგან დრმა განცდებს. პოეტი ოცნებობს სამშობლოში ჩამოსვლაზე, და თუ ამ „ზიარებას“ ეღობა, იგი ამის შედეგ სიკვდილსაც აღარ ნადვლობს:

„...ამელამ მინდა ვიხილო მცხეთა, ბიჭვინთა, ხონი, გორი, ალაზანი, ვნახო თელით და მოწამეთა და არტახუჯი — შენი აკვანი... ჩემო მერანო, ნუ დამეღლები, უნდა გავსკუროთ — არაგვი, მტკვარი, და გულს ჩავიკრათ მთი ტალღები, — ბარათაშვილის ცრემლების ღარი... მინდა ვისმინო ძველი ზღვები, მივხვდეთ — რას ჰყვები თერგი, რიონი: მინდა ვადილო ყველა საფლავი, საც ისვენებენ ბავარტონი... მინდა ვიყნოსო თეთრი ქარები, მყინვარისა და უშუას მკერდიდან, — გაძღვე გუგუნით ძველის ზარების დაბერებულის ალავერდიან. მინდა კვლავ ვნახო თბილისის დამე, გაშუქებული ნათელ თაღებით, რომ ჩაიკრბინო ორთაქალა მე და გავიხარო ვარდის ბაღებით... მინდა ჩემს გულში ვინახო კვლი, მისგან ნასწავლის სიყვარულისა; — გუთხარა, რომ ვერსად ვბოვნი ნაცვლი მისის სიტურფის, მისის რკულისა...“

წელის ორი წვეთივით შავს ამ ლექსს აკი პაპავას მეორე ლექსი „ხალადა შუა ღამისა“, რომელიც ახვევ ქეიბურის ფხედონიშით არის გამოქვეყნებული 1952 წელს ჟურნალ „მამულში“ (ბუენოს-აირესი, № 5, გვ. 180-181), ხადაც ნოსტალითი შეპყრობილი ერთგან აცხადებს:

„საქართველოდან რა დამჩრჩნია: ლოცვებით სავსე ღედის ბარათი...“

და მეფე დიმიტრი თავდადებულის აჩრდილის წინაშე მუხლმოყრილი ითხოვს პატივებს:

„მონანიებით მოვიყრი მუხლებს, მსურს, რომ ვადილო ეს წამებული. ვთხოვო: წარგვიდღეს ყველა ლტოლვილებს მეფე დიმიტრი თავდადებული. ვითხოვ — შეგვინდოს სულომოკლობა საყვედურები, გმობის წამები — იქ რაგვარ ითქმის ჩვენი მხილება. ხადაც სდგას გმობითა აკლდამები, სდუმან იმის წინ ჩემი წლებია, ვრჩები უღირსი მის სისხლის წვეთის, ვისაც არასდროს არ შეინებია საშობლოსათვის თავის მოკვითის...“

ჩვენ არავითარი ზნობრივი უფლება არა გვაქვს არ ვენდოთ საშობლოდან ლტოლვილი ქართველი პოეტის ამ გულწრფელ აღსარებას!

1958 წელს, ბუენოს-აირესი, დასასრული. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული საქართველო“ №17.

აკი და თამარ პაპავები

ქართულ კაბით მოხდენილი დიადებით თავზე... ჩვენს აღდგომას მასში ვაქსოვ, მასში მოვათავსე, არა, მართლაც არვის გვახსოვს ჩვენ მისი სავსე“

აკი პაპავას პოეზიის მთავარი ტენდენციების ამომწურავ დახასიათებას ვაძლავთ ერთი ხანდავარდითელი ქართველი კრიტიკოსის (პ. სარჯველიძე) შემდეგ სიტყვებით: „სამშობლოს გახსენება ყველა მისგან დაშორებულ ადამიანს უძლიერესი გრძობა და ღელვა, მისგან მოშორებული ის მას ნატრობს, — მის აზროვნებაში გაწევილებით მძაფრი გადვარდებით ცოცხლდება, — განვლილი, ნახული, გადატანილი, საკუთარ ქვეყნის ბუნება და მისი სილამაზე, წარხული და აწმყო... მით უმეტეს, დრმა განცდა პოეტისა. — რაც გრძნულ სიტყვებში აფერადდება და მხატვრულ აღტყინებაში იფეთქებს... და რა გასაკვირველია, აკ. პაპავას შთაგონების წყაროა, — მიტოვებული დედა-ქალაქი, სამშობლოს ტკივილი, მისი წარხული, აწმყო და მომავალი... მოგონებების რგოლში ხშირად სკარბობს სევდა-კაშანი, მაგრამ იგი არაა პიროვნული, არამედ ერწყმის ერის იმ მოვლენებს, რომელთა შუაგულში ტრიბუნებს პოეტი“... (აკი პაპავას ხსოვნას, „ცნობის ფურცელი“, 1965, № 2, პარიზი, გვ. 11).

აკი პაპავას სიცოცხლეში მისი უკანასკნელი ლექსთა კრებული „მოწამეთობა“ დაიბეჭდა 1962 წელს, ნიუ-იორკში.

მოკლე ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში დახასიათებული კრებულის გამო ვიქტორ ნოზაძე წერდა: „მთელი წიგნის ფურცლებზე იშლება და იღვრება გოდება... ეს არ არის გოდება იერემიასი... შემზარავი და შემადრწუნებელი, ღვთის რისხვით გამოწვეული წარტყვევნა იერუსალიმისა — „მოწამეთობა“... ში არა ხიანს ხელი ღვთისა, მაგრამ ეს არის გოდება ქართველისა, რომელშიც მოიხიბს გლოვის ზარი (მეგრული სტილითა), მიმტრატობა და მებრძობა, ლეკში მოტყმისა და ბრძოლისა, დამწვარდათუთული გულის ამონახტყი თითოეული სტრიქონი, ხანდახან გაურანდავიც — აქა მძიმე განცდა უცხოეთში მყოფ მგოსანისა — ფართო და ღრმა, შეიძლება ითქვას, უძირო, რასაც მთელი მისი არსება დაუპყრია. ეს განცდა, მეტად თუ ნაკლებად, უცხოეთში მყოფ ქართველთათვის ნათესავურია, გასაგები და პოეტი აქ მათ ნაცვლად აღადგებს...“ (იხ. „კავკასიონი“, 1964, № 9, გვ. 143-144).

აკი პაპავას ლექსების ბეჭდვა არც მისი სიკვდილის შემდეგ შეწყვეტილა. მაგალითად, ქეიბურის ფხედონიშით ხამი ლექსი ციკლიდან „მისიხს ზარები“ გამოქვეყნდა ჟურნალ „კავკასიონში“ 1964 წელს (IX, გვ. 78-79), ხოლო ლექსს „სიყრმის მინდვრებს“

ვხვდებით „კავკასიონის“ 1967 წლის XII ნომერში (გვ. 54)... პოეტი ოცნებობდა დეწერა იხეთი ლექსი, რომ: „ავყვი სულ მალა მის ცისარტყელას, არ ვიგრძნო დალა, ვუმღერო ყველას, მსურს — ზეცის კიბე მღესი აზილოს და საქართველოს მზეს გადააკლოს... დაუშვას ქვევით, როგორც ჩანჩქერი. აფრქვიოს მამულს ჩემი ნამღერი, ახვიოს მტკვარსა იგი რითმები, ვით ვაზის ჭვარსა წმინდანის თმები... რომ შეერთეს მტკვარი ხმით უცნაურით, შესძრას მამული ახალ ხმაურით. იქ მინდა ლექსი ვთქვა სასახლო, ერქვას სახელად მას — „საქართველო!“...“

უფრადღებოდ ვერ დავტოვებთ აკი პაპავას რუსთველოვანი ხასიათის წერილებსაც, რომლებიც ერთგვარად ავსებს მის ლიტერატურულ-მეცნიერულ პროფილს.

ამ მხრივ, აღსანიშნავია აკ. პაპავას წერილი „გუფხისტყაოსანი და მისი ავტორი“, რომელიც შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილ „კავკასიონის“ საგანგებო ნომერში გამოქვეყნდა (XI, პარიზი, 1966, გვ. 129-134).

პოემის იშვიათი პოპულარობის დასტურად აკ. პაპავა იმორწმუნს ე. წ. აღმოსავლეთის და მომდევნო ხანის მწერლებს ცნობებს (ს. ხაბაშვილი, არჩილი, თეიმურაზ II...), აგრეთვე, რუსთველური შიარის მიმბაძველებსა და ჩამამატებელ-გამგრძელებლებს (ნაწუჩა ციციშვილი, იოსებ თბილელი...), ამასთან გადამწერებს, რომელთა ცდამ „ესა თუ ის ადგილი პოემისა ვითომ რუსთველურად განემარტა, განეგრტო ან ჩემბატინა, ან გაეგრძელებინა... პოემის ისტორიაში საბედისწერო როლი ითამაშეს და პოემის ნამდვილი ტექსტი ბევრგან დაამახინჯეს“ — წერს ავტორი.

აკ. პაპავა დიდად აფასებს ვახტანგ VI-ის ღვწლს, რითაც „რუსთველოლოგიას პირველი საფუძველი ჩაეყარა“, გაკვირთ ეხება ე. წ. ბრძოლას რუსთაველის გარშემო (ანტონ I, ტიმოთე გაბაშვილი) და დასკვნის: „მიუხედავად ვეფხისტყაოსნის არაჩვეულებრივი გავრცელებისა და საუკუნეთა მანძილზე მისი პოპულარობისა, ავტორის ვინაობა და მისი ცხოვრება, გაურკვეველი იყო და ბევრი რამ ბურუსით იყო მოცული“.

მიმოიხილავს რა საქართველოს ხანგმწიფოს პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიურ აყვავებ-

ბას მე-12 საუკუნეში „თამარ მეფის ბრძნულ და ყოველ მხრივ სახელოვან მფარველობის დროს“, აკ. პაპავა იძიებს ქართული რენესანსის წარმოშობის მიზეზებსაც: „ამას განსაკუთრებით ხელს უწყობდა გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობა ევროპისა და აზიის კულტურათა მიჯნაზე. აქ ის იღებდა ნაკადებს მუსულმანურ-აღმოსავლეთისა და ქრისტიანული დახვედრისა. საქართველოს ნიადაგზე ხდებოდა შეჭარვინება, სინთეზის გამოვლინება ორი მსოფლიოს; ბოლოს ამან მოაღობა და დაამშვიდა აღმოსავლური ფანატისმი და ქრისტიანული ასკეტიზმი დახვედრისა.“

აკ. პაპავა განაგრძობს: „საქართველოს ლოიალურმა განწყობილებამ ნაირ ტომთა და კულტურათა მიმართ, ამ სინთეზმა აღმოსავლეთ-დასავლეთის შეჭვარადინებულ სულიერ კულტურათა, წარმოშვა აღმოსავლეთის ხანა თავისი პროგრესიული, ჰუმანიტური იდეებით, მაღალი მცნებებით სიყვარულის, ძმობა-მეგობრობის, ხაერთაშორისო იდეებისა და პიროვნების განთავისუფლებისა, რითაც ხასიათდება ჰუმანიზმის და რენესანსის პერიოდი.“

შოთა რუსთაველის პიროვნებისა და ვინაობა-წარმოშობის საკითხზე აკი პაპავა, თუ შეიძლება ასე ითქვას, პავლე ინგოროვას კონცეფციის ორთოქსიკალური მიმდევარია. შოთა რუსთაველის საბიოგრაფიო წყაროების ინგოროვასეული ინტერპრეტაციის დაწერილობით გადმოცემის საფუძველზე აკ. პაპავა (დაასკვნდა: „ამნაირად, მრავალი რამ [დიდი მგოსნის ბიოგრაფიიდან უკვე გარკვეულად ჩაითვლება; ყოველ შემთხვევაში, მთავარი მომენტები მისი ცხოვრებისა მკვლევარმა ს. ინგოროვამ ბურუსიდან გამოიტანა“ (გვ. 134).

აკი პაპავას ამ დასკვნამ ვიქტორ ნოზაძის მკაცრი კრიტიკა გამოიწვია: „მკვლევარმა სავლერ ინგოროვამ ჯერ ქურნალში „შინათობა“ და შემდეგ თავის ონსუვლებათა პირველ წიგნში გამოაქვეყნა „რუსთველიანას ეპილოგი“ (ტომი პირველი, თბილისი, 1963 წ.), — მისი „რუსთველიანას“ დასასრული. აი ამ საკითხზე არის ლაპარაკი განსვენებული აკი პაპავას წერილში, რომელშიც იგი შვედევარ პავლე ინგოროვას ნარკვევებს მოწონებით აღსატურებს. სამწუხაროდ, მის მსჯელობას და დაჭერებას ვერ გავიზიარებ... სრულიად მიუკებ-მოუკებავად და პირდაპირ უნდა აღვნიშნოთ, რომ მკვლევარი პავლე ინგოროვას „რუსთველიანას ეპილოგი“-ც ჩემთვის არის მხოლოდ „ლაშაში ზღაპარი“ და ეს თავისი სილამაზით პირველ ზღაპარს („რუსთველიანას“) უთუოდ სჭობნის“ (იხ. „კავკასი-

ონი“, XI, პარიზი, 1966, გვ. 147).

აკ. პაპავას მიხედვით, მისაღები ის ვარაუდებია, რომ ვიქტორ ნოზაძემ თავისი ეს პრინციპული და შეიძლება შედგებადც მკაცრი კომენტარი გაუეთა იხვე „კავკასიონში“ კახაბერის ფხედონიშით გამოქვეყნებულ აკი პაპავას ბიბლიოგრაფიულ წერილს „მაღლიანი მხრეკელი“, რომელშიც იგი განიხილავდა ვიქტორ ნოზაძის რუსთველოლოგიურ კვლევა-ძიებას, კერძოდ, მის „ვეფხისტყაოსნის დამრთისმეტყველებას“ და მაღალი შეფასებას აძლევდა ამ ქეშმარიტად მონუმენტურ შრომას. თავის წერილს აკ. პაპავა ამთავრებდა თბილისიდან 1962 წელს მიღებული უცნობი ავტორის ვ. ნოზაძისადმი მიძღვნილი ლექსით:

„რუსთველის სიტყვის იცი მიგნება, ღრმად სწვდები აზრებს, შოთას დანათესს, სოთას დანათესს, საქართველოში შენმა წიგნებმა ვარსკვლავებივით შემოანათესა ხანი უნდა გაცხვას იმ ფაქტსაც, რომ აკი პაპავას აღნიშნული რეცენზია ვ. ნოზაძის „ვეფხისტყაოსნის დამრთისმეტყველებაზე“ სიკვდილის წინა დღით დაუმთავრებია: „ეს ნარკვევი დაამთავრა აკი პაპავამ 27 ივნისს ხალაშის ცხრა საათზე და 28 ივნისს კი ხალაშის ცხრა საათზე დალია სული ლომისის ავტობუსში. რა ამოსწურავს ჩემს მწუხარებას.“ — სწერდა თამარ პაპავა ვიქტორ ნოზაძეს (იხ. „კავკასიონი“, XI, გვ. 141).

როგორც ვხვდებით, ვერც ადამიანურად ამ გულისხმარუებულმა ფაქტმა, ვერც მისდამი მიძღვნილი აკი პაპავას რეცენზიის ხობდა-დიდებამ, ვერც რეცენზიისათვის დართული თბილისელი ანონიმი ავტორის შესანიშნავი ლექსმა ფრავითარი შეგავლენა ვერ მოახდინა ვიქტორ ნოზაძის პრინციპულიობაზე და ხელი ვერ შეუშალა მომკვიდრებული განაჩენი გამოეტანა მისთვის მიუღებელი რუსთველოლოგიური კონცეფციისთვის.

საგანგებოდ არის აღსანიშნავი თამარ და აკი პაპავების ღვაწლი უცხოეთში: ისტორიული ბედუქვლადობის გამო მოხვედრილ მკვერი ქართული კულტურის ნაშთთა შექმნისა და დაცვის საქმეში. მათ შორის საყვარადღებოა ბუენოს-აირესში 1963 წელს დაწერილი „ერთი ძველი ფარდის“ ამბავი“, რომელიც 1964 წელს გამოქვეყნდა პარიზში, ჟურნალ „კავკასიონის“ IX ნომერში (გვ. 74-75) და ხადაც მეტად ხანტერგობდა არის მოთხრობილი ჩვენი ეროვნული სიწმინდის — თბილისის სიონის ტრაპეზის ძველი ნაქარგი ვადასაფარების გადარჩენა-შენახვის თავდადასავალი:

„ამ 25 წლის წინ, ბერლინში ყოფნის დროს, ჩვენ ბენდიერი შემთხვევა მოგვეცა, სრულიად მოულოდნელად გვემოგვანა და შეგვიძინა „ტფილისის სიონის“ ტრაპეზის ძველი ფარდა. სიძველეთა დიდი უბაღლო და დაუღალავი მკვლევარის, აწ განს-

„დომინიკელი ბერი იაკობ დე ვორაგინე იყო ქალაქ გენუის მერვე არქივისკომისიის წევრი და იგი ამ მოღვაწეობის ქრისტეს მოვლინებიდან 1292 წელს, და იცოცხლებს იქამდე, სანამდე სწავლიდა უფალს. პაპმა ნიკოლაუს 11-მ ფრანცისკელთა ორდენის წევრმა, აირჩია იგი არქივისკომისიის წევრად. მისი კიდევ ორდენში ყოფნისას და, შემდეგ ეპისკოპოსობის უამრავი წელიწადი ღირსსადაც წინადაც წინადაც ლეგენდები, რომელთაც მრავლად დაურთო ცნობანი Historia Tripartita-დან, სქოლასტიკიდან და მრავალი მოძღვრის ქრონიკებიდან... შეადგინა წიგნები, მომცემი ყველა წმინდანის ქადაგებათა, აგრეთვე შეადგინა ქადაგებანი საკვირაო სახარებებიდან... და შეადგინა სამი ქადაგება, საიდუმლოები წმინდა სამებისა, და წიგნი, რომელსა ეწოდა „მარიალი“, რამეთუ დაწერილია იგი წმინდა მარიამზე... და დაწერა წინამდებარე ქრონიკა თავისი ეპისკოპოსობის მეროვ და მაცხოვრის მოვლინებიდან 1298 წელს... — ასე წარმოვიდგინე იაკობ დე ვორაგინე საკუთარ პიროვნებასა და წიგნებს გენუის ისტორიის ქრონიკაში, რომელიც მან უკვე მოხუცმა დაახლოულა, ეს ქრონიკა თბილისი და ცოცხალი სტილით ერთი ქალაქის ფონზე მთელი შუასაუკუნეების სურათს აცოცხლებს და შუასაუკუნეთა ტიპური ქრისტიანი მოღვაწის სახეცა ძეგრავს, რომელიც ეპოქის ქარიშხალთა შემდეგდევრე იწარჩუნებდა ქვეყნის ქრისტიანის შეხარფერ სათნოებას, წინასწარობასა და ქვეყნის სიკეთეს; მოუწოდებდა მრევლს თვისიერების, მიმტევებლობისა და მალღობი სულიერი ცხოვრებისაკენ. თავის ქრონიკაში იგი კეთილმინდობით აღწერს როგორც პოლიტიკურ კატალიზატორს, იქნება ეს პოპულარული და ინსტიტუციონალური მხრიდან თუ გვიღვრებისა და გიბეინების ბრძოლა, ასევე დიდ რელიგიურ მოვლენებსაც: დომინიკებსა და ფრანცისკოს გამოსვლას რელიგიურ ანტიპაპულ თუ პირველი თვითმკვლელობის ელზაბეტ თიურინგიელის წმინდანად შერაცხვას; თან ცოცხლბრალიან დედამიწაზე ატეხულ შფოთსა და დარტყენას მიხედობდა, თან ბევრეფიცი ალუპურია თვალის ცის თავანისაკენ და იქ გათავისუფლებულ ახტარულ დრამებს ჩაჰკვირვებდა: ცდილობს ცეცხლოვანსუდიანი კომეტის გამოჩენასა თუ შინ დაბნელებას ივთიურ მინიშნებათა აზრი ამოიკითხოს. და ამ ფურცარივით მორულუნე ბერისა და უფლებამოსილი პატრიარქის არსებობაში დიდი ეპოური ტრანსტი, ქვეყნის მართი პოეტი ჩამალულა, რომელიც საოცარი შემოქმედებით სითამამით, მეცნიერულ-ანალიტიკური გონითა და რელიგიური ზეშთავონებით ადგენს ქრისტიანული ლეგენდების უნიკალურ კრებულს. გარდაიცვალა იაკობ დე ვორაგინე 1298 წელს, 68 წლის ასაკში. გვიან, 1818 წელს ნეტარად იქნა შერაცხილი.

დალ სულიერ წინადაცა აზიდული. ხოლო ვიზიონები, სიხარბები და გამოცხადებანი ხელს უწყობენ ამ მალაი კავშირის შენარჩუნებას: ესაა ციური საუფლო, რომლის ბინადარნიც აღამიანური ცხოვრებას თავიანთი უმალღობი ბეგმების მიხედვით წარმართავენ საუფლო, რომლის წევრები ხდება გამარჯვებული აღამიანი: წმინდანი, რათა იქიდან განახორციელოს თავისი პრაქტიკული უფლება: ჩაერიოს ცოცხალთა ცხოვრებაში და დაეხმაროს მათ. ამით დამთავრდა მითოსის აგება მითოლოგიაში. შეიქმნა ქრისტიანული ოლიმპიკი. „თუკი დიდ ქრისტიანულ დღესასწაულებს: ხარებას, შობას, ჭვარცმას, აღდგომას სვეტებად წარმოვიდგინო, რომლებიც ლეგენდების ფერადოვან სურათთა ცას მიწიერ-ისტორიული სინამდვილის ზემოთ ამაღლებენ და აკვეთენ, მაშინ მივხვდებით, რომ ამ დღესასწაულთა შემცველ პარაგრაფებში არქიტექტონიკულ-დოგმატიკური სტრუქტურა ბატონობს... ეს ნიშნავს მათემატიკურ-მუსიკალური ანუ აბსტრაქტულ-აზრობრივი მომენტის პრიმატს სახეობრივ-მეტაფორულთან შედარებით: აქაა ფუნქციური ვარიანტი ერთი დოგმატიკური ამბავის ირგვლივ, მელოდიური ნაკადი. მიუხედავად დოგმატიკური ინტერპრეტაციის მთელი სიღრმისა, — დასაბუთება, ბიბლიური ადგილებსა და ეკლესიის მამათა შეკონებების მომხმობა—სულიერ-ეპოური ხასიათისაა. ასეთევე ბუნებისაა წმინდანთა სახელების განმარტებაც, რაც წამდღვარებული აქვს უველი ლეგენდებს. ეს გასლავთ სახელის მისტიური ეტიმოლოგია და არა რაციონალური.“ — წერს რისხარლ ბენცი.

შუასაუკუნეთა ლეგენდები იაკობ დე ვორაგინემ დიდის რელიგიური-პოეტური აღლოთ დაჰვეწა, ჩამოაშორა არაბოტური და ზედაპირული, ხშირად უნიჭური მტყუვლეობის ნიშნები. არაარსებობდა თავისადაც არსებობის, და მინაქა ლეგენდას სრულყოფილი პოეტური ფორმის სინატიფი.

„ოქროს ლეგენდა“ იმ დროისათვის განსაკვირვებულად სწრაფად ითარგმნა (ლათინურიდან) უამრავი ხალხის ენაზე. დღეს აგრ უველი კულტურული ქვეყნის სულიერი საგანძურში შედის. ეს წიგნი, ისევე, როგორც ხალხურ სულიერ განსაკუთრებით ახლოს მყოფი ყველა ქმნილება, ავტორის სახელის გარეშე ურთოდებოდა სხვადასხვა ქვეყნებში, სადაც უცნაურ ფერისცვალებას განიცდიდა. მას უველგან ემატებოდა ადგილობრივი წარმოდგენის ქრისტიანული ლეგენდები თუ გადმოცემები, რის გამოც თავის დახვეწილ მუსიკალურ-მათემატიკურ კომპოზიციას კარგავდა და უფორმოდ ქმნილებად იქცეოდა. გარდა ამისა, შუასაუკუნეთა ამ უნიკალურმა ძეგლმა მომდევნო ეპოქაში სხვაგვარად თავდასხმაც განიცადა: მუშანისტურ-პარტიკულანტული რაციონალიზმი საერთოდ უარყოფდა სასწაულსა და მითოსს და ამ თვალსაზრისით ესხმოდა თავს „ოქროს ლეგენდას“. კათოლიკური პაგოგრაფთა კი მის პოეტურ-მხატვრულ ასპექტს უპურებდა ექვის თვლით. ისევე პოეტები იცავდნენ წიგნის პოეტურ-რელიგიურ მთლიანობას და მასში შუასაუკუნეთა ხელის სრულყოფილ ემანაციას ზედადენენ.

„ოქროს ლეგენდის“ ვება სამყაროს ცენტრია მისი მთავარი პერსონაჟის — იესო ქრისტეს დაბადებისა და მოღვაწეობის ადგილი: სახარების გეოგრაფია: ბუნებრივად სიმბოლური სცენა: სივრცე მკვდარ ზღვასა და გენაზარეთის ტვას შორის, რომელთაც ერთმანეთთან აერთებს გველივით დაკლანდილი მდინარე იორდანე, მაღალმწვერვალებიანი მერმონიდან რომ მოედინება და მკვდარ ზღვაში ჩაიღის. მდინარეს მიუყვება იერუსალიმიდან მებრძონისკენ გაქმული გლუვი მათაა ჩაქვი, ე. წ. „ოუდას უდაბნო“, რუხ-ყვითელი ქვიშით დაფარული, მზეზე მოვარვარე ხრიოკი მწვერვალები. ამ ქვეყანად უველაზე პირველი, უნუგეშო და გულისმომწყვეელი ზღვა მორუბო-ტუვისფერ უძრავობაში გაყინულა. თევე არ იცის მისმა წიაღმა, ბალახ-უველი — მისმა მადამომ, და ჩიტის გალობა არ არხევს მის ჰერს. თუმცა ძველი აღთქმის მიხედვით მის ოდესღაც წალკოტოვან ნაპირზე მრავალი ქა-

ლაქი უფილა ამოზრდილი. მთავან ორი — სოლომი და გომორი მათი ბიწიერებით განრისხებულ იაკობს მოუსრავს (1948 წელს ამერიკელ არქეოლოგთა მიერ ჩატარებულმა გათხრებმა აჩვენა, რომ ორი ქალაქი ქრისტემდე ორათასი წლით ადრე მართლაც დაუნგრევი მიწისქვეშა) მკვდარი ზღვის მიდამოებში, მცხუნვარე უდაბნოს წიაღ გაატარა იესო ნაზარეტელმა „ორმოცი დღე და ორმოცი ღამე“ უღრმეს მედიტაციასა და მღვდლარებაში, რასაც მისივე ნაბიჯით ჩაშლილი ქვიშისა და აფთრების შორიდან მოდებული კვილი არღვრავდა მხოლოდ. სამაგვიროდ, უხეტეველი და კურთხეულია გენაზარეთის ტაა—ჩრდილო პალესტინის, გალელეის ბუნებრივი ცენტრი, რომელზედაც ასე ამბობდნენ თურმე ძველი რაბინები: „ღმერთი შევიდო ზღვა შექმნა, მაგრამ თუმეტის სიხარულით — გენაზარეთის ტაა“. და წყარობები, კეზითა და მდინარეები მდინარე მიწა უხვად მიწისქვეშაში — გენაზარეთის ტაა“. და წყარობები, კეზითა და მდინარეები მდინარე მიწა უხვად მიწისქვეშაში — გენაზარეთის ტაა“. და წყარობები, კეზითა და მდინარეები მდინარე მიწა უხვად მიწისქვეშაში — გენაზარეთის ტაა“.

და უდაბურ, უსიცოცხლო ზღვა-სა და მდინარე ტვას შორის მოქცეულან ქრისტეს წყალმობი სამარადისოდ სახეღვანოქმული ქალაქდებები, რუკაზე ერთად მიუყურებდნენ მისი დაბადებისა და სიკვდილის ლავანი: ბეთლემი, კაცობრიობის წარმოსახვაში სამუდამოდ რომ გაქვავდა თავისი უველაზე მწიერი და უველაზე მდიდარი სამყოფლით — ბავთი, თავზე ვარსკვლავი რომ დასდგომია და იერუსალიმი, სადაც ეს ღმერთი აწამებს და დაფრთხებს. და აქვე ახლოს: ბეთანია, მარია მაგდალინის, მართასა და ლაზარეს ქალაქი, თუ იერიზო... სამხრეთით კი — ნაზარეთი, სადაც იესომ იწყო მოღვაწეობა და კანა — სადაც ასეთი იღუმალი და გამორჩეული მორწილი გადაიხალდა, მაცხოვარმა დედის თხოვნით წყალი ღვინოდ რომ გადააქცია, და მაგდალა — უდაბნოს წმინდანის, „მოციქულთა მოციქულის“ მარიამ მაგდალინის (მეგვიდრეკით მიღებული) ქალაქი. იქ კი გალილეაში, გენაზარეთის ტბასთან: კაპერნაუმი, ქრისტეს მოწაფეთა — სვიმონისა და ანდრეას ქალაქი, რომელთაც ქრისტე შინ ეწვია, და განსურნა სვიმონის სიდედრი „დავრომელი მხურვალბითა“ და განდევნა უამრავი „სნეულნი და უშეაკულნი“. და ბეთსაიდა, სადაც გაგზავნა მოწაფეები სუთათაის აღამიანის დაპურების შემდეგ და ქორაზინი, — რომელთაც დაატყდათ თავს მისი წყრომა და ავბედითი წინასწარმტყველება. (ივია შენდა, ქორაზინ და ვაი შენდა ბეთსაიდა... ტვირისი და სიღონი უმოდინეს იესო დედსა მას სასჭელისასა, ვიდრე თქვენ... ხოლო შენ, კაპერნაუმი ნუ ცადმდე ამმალდებო, არამედ ჭკოხეთამდე შთახდე“...)

და აი ამ ცენტრიდან, მთავარი პერსონაჟის მოღვაწეობის ადგილიდან მოქმედება, მოციქულთა გზა-სავალის კვალდაკვალ, სხვა ქვეყნებში გადაღის და ბოლოს უამრავი წმინდანის ადგილ-სამყოფელს — უზარმაზარ სივრცის მოიცავს: ციხე-კოშკებიან, გაღვინებთან ქალაქებს, უდაბურ ტყეებს, სადაც ურჩხულნი ბინადრობენ, ზღვებსა და მდინარეებს, საყდარეკლესიებსა და სასახლებს. ცხელ უდაბნოებსა და ცივ მღვიმეებს, მწიერ სახლკეებსა და ქოხებს. თავად სახარებთა ავტორები, რომელთა ქმნილებასაც შეეწარდნენ ეს ლეგენდები, ერთ-ერთი პირველი გადაიქცნენ ამ ლეგენდარული სამყაროს პერსონაჟებად, სადაც მხოლოდ მათი ცხოვრება და მოღვაწეობა კი არაა მოთხრობილი, არამედ მათი არსსიული დახასიათებაც ხშირად გვეწვდება. („ხოლო ოთხი ცხოველი ნიშნავს ოთხ მახარობელს. რომელთაცან თვითუღს ოთხი სახე აქვს თავის ნაწერში, რადგან თვითუღს წერს ქრისტეს აღამიანობაზე, მის ტან-ჭვა-გვემაზე, მკვდრეთით აღდგომასა და ღმრთეებაზე. მაგრამ თვითუღს მთხრობელს კიდევ ერთი რომელიმე ცხოველი შეესაბამება... და მათეს აღამიანის სახე აქვს,

რამეთუ განსაკუთრებულად წერს ქრისტეს აღამიანობაზე, ლუკას — ხბოსი, რამეთუ განსაკუთრებულად წერს ქრისტეს ქურუმობაზე, მარკოს — ლომის, რამეთუ ნათლად წერს მკვდრეთით აღდგომაზე და ამბობენ, ლომის ბოკერი სამ დღემდე მკვდარიც წევს და მესამე დღეს დედის ბრდღვინა აღვიბებსო... ხოლო იოანე გამოხატავს არწივად, რადგან სხვებზე მალა ფრენს, რამეთუ წერს ქრისტეს ღმრთეებაზე. ხოლო თავად ქრისტეს ოთხივე სახე აქვს“).


ლეგენდებისა და ამოკრთების წარმოდგენის ერთ-ერთი მიზეზიც მახარობელთა თხრობის უმკაცრესი სტილი იყო, სტილი, რომლითაც მხოლოდ მთავარი და პირველხარისხისი — გადმოცემი: უდაბნოს განწოვების მიზნით მაქსიმალურად დაწურული სიუჟეტი. ეპიკოსი: კონცენტრირებულ-შეკუმშული, რათა საიდუმლოს ანუ გამოცხადებას იქ თავისი ზუსტი გამოხატულება ეპოვა. და უველაზე მეტი შეკუმშვა და შევიწროება მახარობელთა ტექსტში ქრისტეს ცხოვრების „აღამიანობა“, მეტისმეტად აღამიანურმა მხარემ განიცადა. და მათმა მკაცრმა კალამმა არა მარტო მაცხოვრის ბავშვობა და ყრმობა გადაუმალა ქრისტისათა თაობებს, არ პირველ ბოგრაფოსტ გარეგნობაზე მინიშნებთაც კი არაფერი დასდენიათ, პირმტკიცედ გაახილულმეს გარეგნობა იმ არსებისა, რომლის სიყურადღებოდაც მოუწოდებდნენ აღამიანთა მოღვაწის. (ღმობთ იმიტომ, რომ არ შეეწულათ მორწმუნის წარმოსახვა და უველას ისეთად წარმოედგინა სულის მიჭნური, როგორც მისთვის ახლობელი იქნებოდა. ბერძენი ბერძენად, ქართველს — ქართველად.)

და თუმცა ღმერთი სწორედ ქრისტეს სახით მივიდა უველაზე ახლოს აღამიანთან, აღამიანს მაინც მეტი სიახლოვე ნსყუროდა მის აღამიანურ ბუნებასთან, უფრო მეტი სითბო და ინტიმობა ენატრებოდა, ვიდრე კანონიკური ტექსტების სტრიქონებში პოულობდა ამას. (ამიტომ მორწმუნის გული განსაკუთრებულად იმხსოვრებდა ქრისტეს ცხოვრების იმ მცირერიცხოვან აღამიანურ დეტალებს, რომელთაც სახარების მკაცრ სტრიქონებში გაეფონათ: მაგალითად იმას, რომ უველაზე უმცროს და საყვარელ მოწაფეს, იოანეს მაცხოვრის მკერდზე მჯდომად ხოლმე თავი მყარდნობილი, ან უცნაურად სვედისამშლელ და იღუმალს ცვენას: იესო რომ მიწაზე იქდა განმარტობით და ფიქრში წახული. თითით რაღა-

ცას ხატავდა ქვიშაზე, როცა მისი ვი ქალის ჩასაკლად შემარტული: გამხატვლი ბრბო მიეახლა). განსაკუთრებით კი მერე და მერე გაძლიერდა აღამიანური მინატირება, როცა მორწმუნე ქრისტიანმა ეკლესიის მკაცრ სტრიქონებში მოხილული სიცივე იგრძნო. სწორედ ამან განაპირობა, რომ მოგვიანებით მამისა და ძის თავანისცემას ლამის აღემატა მონატრება დედისა და საოცარ მასტაბებს მიაღწია ღვთისმშობლის კულტმა, რომელსაც მრავალ სხვა სახელთან ერთად უწოდებდნენ „სამი სამეფოს (ქვეყნების, შუასკნელოსა და ზესკნელის) ქალბატონს“ და უნივერსალურ ფუნქციას მიაწერდნენ. გავისხენოთ თუნდც შუასაუკუნეებში უღრმესად პოპულარული ლეგენდა, (რომელიც შემდეგ გადაამუშავა ა. ფრანსისმა და უწოდა: „ღვთისმშობლის უნგლი-ორი“): ერთი ღარიბი უნგლიორი, რომელსაც თავისი ხელოვნის გარდა არაფერი ახადია, არადა გულით სწავია, სიყვარული გამოუმღვანოს ღვთისმშობელს, რაღაც დიდი და მშვენიერი მიუძღვნას. — შუატაძარში, ღვთისმშობლის ხატის წინ იყუებს თავისი ხელოვნების წარმორჩენას: თავგანწირულად გადადის მალაქებს და როცა, ბოლოვდება, დალოლო-დაქანცული მიესვენება, ღვთისმშობელი თავად შეუმზარალებს ოფსს. აქ გვიმღვინდებდა წყურთული გულითა — მხოლოდ გულის უსაზღვრო კანონებით აგოს სამყარო. კანონებით, რომლებიც გამოსხატვენ რამდენს შინაგან წესრიგს — სიყვარულს, არად ადებენ გარეგანს. დავუშვათ იმას, რომ უნგლიორი თავისთავად (მთა უფრო ეკლესიის შენობაში) ეკლესიის მიერ დაგმოზილია. და ასეთი გულისმიერი თავისუფლება უკავშირდება სწორედ სასოებისა და ცრემლთა წყაროდ შერაცხულ ღვთისმშობელს.

ძალა, რომელიც წარმართავს და ამოძრავებს „ოქროს ლეგენდის“ პერსონაჟების — წმინდანთა ცხოვრებას, არის ქვეყნის რწმენა, სწორედ ის ნამდვილი სარწმუნოება, რომელიც მაცხოვრის თქმით, აღბეჭდილია ყოველის შემდგომის ანუ სასწაულომოქმედების უნარით: „უკეთუ ძალდის რწმუნებად, ყოველივე შესაძლებელ არს მორწმუნისა“. „უკეთუ გაქუნდეს სარწმუნოება... პრჭუათ მთასა ამას, მიიცვალე ამიერ იქით და მიიცვალოს“.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



ბარმუას. თეანგი ურაცხანისის ფორტი.

...ჩვენი ტფილისი კი თანდათან ძირს იწევს, გარეგონ რომაელები ხერხემალი გადართვება... ტიციან ტაბიძე, „მედიტა“

ტიციან ტაბიძის პოეზიის მოყვარული თანამედროვე მკითხველი ამოად დაშვრება, თუკი ამ პოეტური სტრიქონების მისაგნებლად მის თხზულებათა რომელიმე კრებულს გადაშლის. ზემოხსენებული ლექსი წელშია გაწყვეტილი მრავალწრივით... (პირველი პუბლიკაცია იხ. — ჟურნალი „მეოცნებე ნიაშორები“, 1928 წელი, № 10).

ახვევ გაუგებარი და მიუწვდომელი იქნება დღევანდელი მკითხველისათვის ტიციან ტაბიძის ხე-სიმბოლო — ტფილისის გადატანილი ხერხემალი („ტფილისის ხერხემალი“ — გრიგოლ რომაძის ერთ-ერთი საპროგრამო ლექსის სახელწოდება).

გრიგოლ რომაძე და ცისფერყანწილები — ცალკე თემაა ვრცელი, ხანტერესო გამოკვლევითაა.

ის თეთრი ლაქა, რომელიც XX საუკუნის 10-20-იანი წლების ქართული ლიტერატურის ისტორიას დღემდე ამოუცხებელ სიკარბილედ დამჩნევია, მნიშვნელოვანწილად უკავშირდება ჩვენი კულტურის დიდი მოღვაწის გრიგოლ რომაძის ხელოვნურად მოკვდას.

გრიგოლ რომაძის ტაბულადებული სახელწოდება დიდად დაზარალა „ცისფერი ორდენის“ კვლევაც. სხვა საქითხა, რომ ცისფერყანწილებთან ურთიერთობა მათი უფროსი თანამედროვეთა და უკვე სახელმწიფო მწერლის მოღვაწეობის მხოლოდ ერთი ეპიზოდია იყო, თუკი ვინმე იტყვის, რომ ვერ ეტყუდა ნაირგვარი „იზმების“ პროკრუსტეს სარცელში, უწინარეს ყოვლისა, ეს გრიგოლ რომაძეზე უნდა ითქვას. მაინც მგონია, რომ კაპუც ცისფერყანწილთა მიერ მრავალჯერ გახედავებული თაყვანისცემა, მოწინააღმდეგე და სიყვარული „უწინდესი გრიგოლისადმი“ ცალმხრივი არ ყოფილა: გრიგოლ რომაძეც არ უდებდა ტოლს „ცისფერ ორდენს“ ურთიერთგატანასა და სიყვარულში.

ზემოთქმულის დასტურად, სხვა მრავალ გარემოებასთან ერთად, გამოდგება როგორც ცისფერყანწილების, ისე გრიგოლ რომაძის ლექსებიც, ასე მაგალითად, ცისფერყანწილთა მიერ პირველ ქართველ სიმბოლისტად სახელდებული, ცისფერი ორდენის აღიარებული წინამორბედი გრიგოლ რომაძეც მათი პოეზიის გმირიც იყო: „ახალი ქრისტეს ოთხი დავრჩით მხარობელი — პაოლო, გრიგოლ, ვალერიან, მე — იოანე, ჩემი ორ პირი პატარხანა გაუღებოდა, რიონის ფშანი — ნათლისღების დღეს იორდანე“ — ეს ლექსიც — „დროშა ქიშკრითა“ — ტიციან ტაბიძის „ეკუთნის“.

როგორც ვხედავთ, გრიგოლ რომაძეც ამ მხრივ გამოკვლევის არ გახლავთ — ცისფერყანწილებს თამამად „შეპყვდათ“ ერთ-ერთი პოეზიის სამყაროში, მათივე თქმით, „ახალი მითოლოგიის“ შესაქმნელად.

ვალერიან გაფრინდაშვილმა წერილში „დეკლარაცია“ („მეოცნებე ნიაშორები“, 1922 წელი, № 7) ასე განმარტა ცისფერყანწილთა მიერ „ახალი მითოლოგიის“ შექმნის მცდელობა: „პოეტის სახელი ანათებს ღირსკაცვი, როგორც მეტეორი... უანწილები ხშირად ახსენებენ ლექსებში ფრანგ პოეტების სახელებს, რადგანაც ქმნიან ახალ მითოლოგიას.“

ამ ახალი მითოლოგიის მასხარადში ყანწილებს დიდი გაბედულობით შეჰყავთ ერთმანეთი (პაოლო იაშვილის ლექსი — ალი არსენიშვილს). შეიძლება ეს პირველი მაგალითი იყოს მსოფლიო პოეზიაში, როდესაც პოეტებმა მოინდომეს პირადი მეგობრობის გაზღაპრება, როდესაც პოეტებმა გარდაქმნეს ინტიმობა პოეზიად და თავის ინტიმურ რომანებს მისცეს უნივერსალური ღირსების ხასიათი“...

როდოდ წლით ადრე, ვალერიან გაფრინდაშვილმა თავისი მეგობრების გრიგოლ რომაძის, პაოლო იაშვილისა და ტიციან ტაბიძის „ხათული ფანტომები“ წარმოსახა ერთ უჩვეულო ლექსში — „საფრფლავი ჩემი მის რაჟდენის ხსოვნას“.

რომ სვედიანი ჩემი ოცნება ისევ წარსულმა გაინაპროს.

ყოფილ ფიქრებში გავიბანდები... ჩემი საფრფველი წინ მისვლია, ცრუ ხეტიალში ბევრი ლანდები იმის სიბრტყეზე გამიწვინია.

უმშვენიერეს ცისფერ ვასაკით მოდის გრიგოლი — ლანდი პირველი. მაგრამ ვინ არის ეგ ავაზაკი? — თვით ამორდია ვასაკვირველი.

ქმნიან საყვარელ, ძველ ამხანაგებს და ორსულელებს კვამლის კირთები და პაპიროსის წვერზე ანაგებს — მაკლურ პაოლოს და გუჟავირდები.

ჩემ საფრფლავზე აქვითინება

და (პოეტის შვილის, ალას ვარდაცვალმა), კარგად არის მინიშნებული პოეტი-კარდინალის მხატვრული არაილიც და ესთეტიკურ ინტერესთა სფეროც (მათარზე, ხოზე-მარია დე ერედია, ნიციში, დანტე, ბოდლერი...): საქართველოში გადასაშენოთ სონეტის მოდგმა...

ჩვენ გაეკეთეთ ის შობლოურ სიტყვის მუცელში... იშვია... და ახლა გაეასვენოთ თეთრი კუბოთი და ღვლელად იყენენ მალარმე და ხოზე-მარია.

მომართვა ჩემი, კარდინალი ჩვენი ორდენის იქნება მძიმე: შენი შუბლი უფრო მძიმეა ყველა ლექსებზე, რაც მე და შენ დაგვიწერია.

გამტყდარი ლექსით: ქება შენ.

და ფრანკში ფავენი იყო ჩვენი მოსამსახურე. ფარშავანგებმა გზა გაუხსნეს ციდან მოსულ მტრებს: ეს არის ალკა. დაისმინ მან იცეკვა ბალაგანის წინ ჩვენ ტანს უკურავდით და ვიყავით გახარებული, რომ უდიდეს დღესასწაულზე არ დაგვივიწყა ჩვენ ალკას სულმა.

შემდეგ იტირე: და ვიმღერეთ დასამშვიდები ყველამ ერთად ლოცვა: გრიგოლს უწმინდესს. გრიგოლს უნეტარესს. უსაყვარლესს გრიგოლს.

ლექსი 1922 წლის 7 იანვარს გაზეთ „ბარბარის“ მე-4 ნომერში.

ტიენს გვიდალაგდა ოქროს წიკტეპი. კიდევ გვაბრძანებენ — ზიცის გასწვრივ ჩამონგრეული მადნის წყალობა. მე ტან-ანთებულ ფარშავანგებით მოგართვი შევადლის კარდინალი.

ატეხილია მიწა ზვილი, კენტავრის სირბილს — „ლილლეს“ აყოლებ, ატარებ, როგორც ალკივიადი ცხელ, გახურებულ დერიდახოლებს.

სკრი ლექსებს, მაგრამ, რჩინის ღველიდალ. და გვაბრძანებ სიტყვის მანეთით; საქართველო კი გვიმღებდა ირრუბაქიძის გადაწებით.

პაოლო იაშვილის ეს ლექსი ე.წ. „შიურ“ ლექსთა ციკლს განეკუთვნება (იხ. მისი „ფარშავანგები ქალაქში“, „წითელი ხარი“ და სხვ.), ისიც აღსანიშნავია, რომ „შის კულტა“ მას გრიგოლ რომაძის პოეზიასთანაც ანათესავება.

ყოველთაე ზემოთქმული გრიგოლ რომაძისა და ცისფერყანწილების ჯერაც მიუკვლეველი და გამოუმწურებელი ურთიერთმართების მხოლოდ ერთ მხარეს ეხმინება. მომავლის საქმეა ამ მიმართების გამოწვლილითი, ყოველმხრივი შესწავლა; მომავლის საქმეა „ცისფერი ორდენის“ სრულყოფილი „ჩვეულებრივი პორტრეტის“ წარმოჩენაც.

უკვე იტყვა, რომ ურთიერთგატანასა და ერთმანეთის სიყვარულში არც გრიგოლ რომაძეც უდებდა ტოლს ცისფერყანწილებს, მანაც, ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილისა თუ პაოლო იაშვილის დარად — გარდაქმნა „ინტიმობა პოეზიად“ და ე.წ. მიძღვნილი ლექსებით შთამომავლობას შემოუნახა უნაზესი სიყვარული მეგობარი პოეტებისადმი.

დასასრულ, ნიშნად მკითხველს ვთავაზობ გრიგოლ რომაძის სონეტს.

„ინტიმობა — პოეზიად“

ზოგი რამ გრიგოლ რომაძისა და ცისფერყანწილებსა

ლალი ავალიანი

უყვარს ტიციანს ნახად, გედურად, იმან ტირილი ახლაც ინება, ლაფორგის მთვარეს უსაყვადურა.

დაგტრიალდები ლანდურ ჯარაში. ლამე ობლობას კვლავ მომანდომებს — და ფერფლთან ერთად ბნელ ფანჯარაში გადავისროლი სათუთ ფანტომებს.

(იხ. „მ შვიდ დო სანი“, 1920 წელი, № 1)

ცისფერი ორდენის წევრთა პირადი მეგობრობა მართლაც დასაბამიდანვე „გაზღაპრებული“ იყო. ამას კარგად გრძობდნენ მათი ლიტერატურული „მტრებიც“ კი, რომელნიც ქედს იხრიდნენ ცისფერყანწილთა საარაკო მშობამეგობრობის წინაშე; მათ „ერთმანეთი უყვართ, ერთმანეთს აფასებენ, ახალისებენ, გულს უკეთებენ, ესმარებდნენ და ეს კი მეტიმეტად საჭიროა მწერლისათვის... და ჩვენი აზრით, ეს ერთი დიდი ფაქტორია განა „ყანწილების“ არსებობისა. ისინი მაინც მაგარნი არიან და იქნებიან თავისი შინაური ინტიმობის“ („მნათობი“, 1922 წელი, № 5-6).

ამასვე გრძობდნენ თვით ცისფერყანწილებიც. მოვლსმინოთ პაოლო იაშვილს: „ცისფერი ყანწილები“ ერთი პოეტია. ამაშია მისი ძალა.

შვიდი წელიწადია გავმელით ჩვენ გაუღებულ საქართველოში, რადგან სიყვარულის გარდა ვიცილდით ერთმანეთის პატივისცემა“ („ბარბარის“, 1924 წელი, № 1).

ცისფერყანწილთა ერთსულელებმა, ერთმანეთის პოეზიის ღრმა ცოდნა და მეგობრული სიყვარული მათი ე. წ. მიძღვნილი ლექსებითაც დასტურდება. მარტო პაოლო იაშვილს მრავალი ამგვარი ლექსი აქვს: „ვალერიან გაფრინდაშვილს“, „ტიციან ტაბიძეს“, „გიორგი ლენინისძეს“, „ალი არსენიშვილს“, „წერილი კოლაუ ნადირაძეს“... გურამ ასათიანმა შენიშნა პაოლო იაშვილის იშვიათი უნარი თავისებური პოეტური იმიტაციისა, რომლის მოშველიებითაც იგი კოლორიტულ ლიტერატურულ პორტრეტებს ქმნიდა. მართლაც, რაოდენ განსხვავებულია ერთმანეთისაგან ვთქვათ, გიორგი ლენინისადაც ანდა ვალერიან გაფრინდაშვილისადაც მიძღვნილი ლექსები! თითოეული მათგანი კარგად არის ცნობილი ქართველი მკითხველისათვის, ამჯერად კი უურადლებს მხოლოდ „დაბრუნებულ“ გრიგოლ რომაძეზე ვამახვილებ, რამეთუ მისდამი მიძღვნილი ლექსები, როგორც მოსალოდნელი იყო, ადარ დაბეჭდილია განმეორებით.

პაოლო იაშვილს, პოეტური პორტრეტების დიდოსტატს, ორი ლექსი აქვს სათაურით — „გრიგოლ რომაძის“, ერთ მათგანში ბიოგრაფიული მომენტების გარ-

ნიციში, დანტე, ბოდლერის ღმელრი. ყველა მხეცების ხმით თქმული ლოცვა დიდუბის: შენი გემის მიღებისთვის. თბილისი ილუბება, როცა შენ გინდა, მიწის ძვრა არის მისი ბრალი, რომ შენი ლექსი უკანასკნელი შეძრა ტვირის — მატერიის მიწზე დიდის. ხარ მარმარილო და ენტაგრი. ცილინდრი ძვირად, უფრო ხშირად საწყალო ცქერით.

როდესაც ეძებ ახალ ლექსს და შენს ბავშვს ალკას: ჩვენი ტირილით გასვენებულს: უწმინდესს გრიგოლს. უნეტარესს გრიგოლს. უსაყვარლესს გრიგოლს. ვუსმენთ სინდისით, სიმკაცრით მდიდარს. მე გვეკითხები: ვართ მართლები? გვიბასუხებ: ჩვენი სიტყვა პირველია.

მას შემდეგ, რაც ქრისტიანობამ მოვალეობად აღამიანს გაუხადა, რომ პოეტს დაემორჩილოს, რომელსაც გული აქვს ღმერთის (ეძრა) ყველა ვარსკვლავების. მე გზედვ მეზღებ:

ისინი თბილისს შემოესივნენ, ყველა ქუჩები სახეა მათი. სიცხეა დიდი: ელიან შენს გამოსვლას. სიხარულით: სტირიან ქუჩებში შენადები.

დაგინახეს და გიყდებენ: მენადები: იჩოქებენ: ცახცახებენ: იზმორებინან. შენ მოესწარი: დღესასწაული შენ მოგიწყო ჩვენი ორდენმა.

შენ გვიბასუხე დირიჟორმა: ქალღეაში იყო დღე დიდი. ქალაქი სრულიდ უხალხო, უმოძრაო და გადამწვარი. მზით გადამწვარი. (ას ასტუმრე ფარშავანგები, მთავარ მოედანზე ბალაგანი გამართე, დიასახლისად მოყვარე ბალაგანის — ფფელია. ბალდანიით მოასვენე ყველა ლექსები: ჩვენი შვილები უბიწონი და უქორწილო.

პირველ დარაჯად იღვასწაულის დანიშნე იგი — სარაცინი. ოქროს ტრიბუნით ქალაქს მაოდგა კაბიტანი და მოიყვანა სანტა მარია. და ერთად ერთი მათხოვარი იყო ნაპირზე. ოქროთი და ვერცხლით დატვირთული. ჩვენგან: ერთად ერთი გახარებული მათხოვარი.

ში გამოკვეყნდა. საინტერესოა ის ლექსთწყობის თვალსაზრისითაც: ქართული სონეტის ერთ-ერთი შეგნებული აპოლოგეტი, ბევრი მშვენიერი სონეტის ავტორი პაოლო იაშვილი მოითხოვს — „საქართველოში გადასაშენოთ სონეტის მოდგმა“ და, გრიგოლ რომაძის დარად (იხ. მისი ლექსი „ირრუბაქიძე“ და ზოგიერთი სხვაც), თავისუფალ ლექსს მიმართავს.

სულ სხვაგვარად ჟღერს მეორე ლექსი, დაბეჭდილი გაზეთ „რუბიკონის“ მე-5 ნომერში 1922 წლის 18 თებერვალს (ლექსი დათარიღებულია 1922 წლის 16 თებერვლით):

ჩვენ როცა გაგჩნდით შევადლის საქებალ ჩამოეყუდენ მზიდან სვეტები. ხვარი. მღულარე პაპახაქება.

აბტომედალიონი

პასუხად პაოლოს

ჩემი ღერბია დიონისოს მედალიონი. ცეცხლით სწერიან: მოხარული საშურო ხმალებ. ჩემთვის ყვავილობს სიხალისით თვით ალიონი და მელის მუდამ მზიურ საქმროდ მე სილამაზე.

დღეს დაღვნილი, დათენილი თუ ვფიქრობ სხვაზე დღეს თუ არ ლალობს ჩემთვის ნელი თეთრი სიონი: იცოდე მისთვის: რომ ავლენო სახატორი და ქვეყნის ბედი გადაეცემა ჩემს სერხემალზე.

პელსადას შვილი ვარ ერთგული მე „ამორ ფატის“ ქსავნობა მსხვერპლად გამზადილი ვით სავსე თასი. და თუნდ რანდი ცხოველი მზე სულ დაიფუტოს:

თასზე თასს გამსხვრევე რომ ავმართო კიდევ ათასი. თავლებული: მე სარკე ვარ ყველა თტლების და მისკა ჩემი ქერტი არის მხოლოდ ცვალების.

1917, ენენისთვი, კაფე „ინტერნაციონალი“. ჟურნალი „მეოცნებე ნიაშორები“, 1922 წელი, № 7.


მინაწერი: ეს პატარა მიმოხილვა უკვე დაწერილი იყო, როცა „ლიტერატურულ საქართველოში“ კახა ჯამბურის „ეს განწირული სულისკვეთება“... წავიკითხე. ამ წერილში ავტორი ბევრს რასმე კი გადასწვდა, მაგრამ, ცოტა არ იყოს, ნაუცბათევად და ზედაპირულად. გავკრით შეგხო იგი გრიგოლ რომაძისა და ცისფერყანწილების ურთიერთმართებასაც. კახა ჯამბურია იმედისმომცემი კრიტიკოსი განხლავთ და მას უთუოდ. მეტიც მოითხოვება. მაინცდამაინც კარგ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს მისი ერთგვარი შეუვალი ტონი, განსაკუთრებით, პირველ წყაროთა სრული უგულმეცოდველობის (თუ მათი უყოფიარობის) და შემთხვევით მონომოილი ციტატების ფონზე; დაიძებნება ზოგიერთი ფაქტობრივი შეცდომაც უფლებას ვიტოვებ, მომდევნო წერილში, რომელიც კვლავ გრიგოლ რომაძისა და „ცისფერი ორდენის“ მიძღვნიება, უფრო გამოწვლილი ვით განვიხილო კახა ჯამბურისა მოსაზრებანი, ამჯერად კი მხოლოდ ერთ მათგანს შევასვენებ მკითხველს: „დიდხანს არ ახსენებდნენ ტიციანს და პაოლოს, მხოლოდ 50-იანი წლების ბოლოდან კვლავ გახსნა მათი სახელები და ფრთხილი „შესწორებებით“ გამოვიდა მათი წიგნები. ამავე დროს დაიწყო მათი შემკვირდების მეცნიერული შესწავლაც, ბამონიშპა ბეჰარი მცდარი და ცოდნა მუშამარტი პარკი“. ნუთუ ავტორი არ იცნობს მირიან აბულაძის, გურამ ასათიანის, გრიგოლ ხერხეულიძის, გიორგი მარგველაშვილის, თამაზ ჩხეკელიძის, და სხვათა საინტერესო გამოკვლევებს; ან სერგო კლდიაშვილის, შალვა აფხაძის, კოლაუ ნადირაძის, ნინო ტაბიძისა და ა. შ. მემუარებს? თუკი იცნობს, გაუგებარია, რად აცხადებს ეგზომ კატეგორიულად — „მთავარი სათქმელი ჯერ კიდევ წინააო!“ წინამორბედ მკვლევართა ნაღვაწის ნებისითი თუ უნებლიე უფულმეცოდველობა, ლამის საყოველთაო სენად რომ გადაქცეულა, სწორედ რომ არ შეეფერება ახლავარდა ნიქიერ ლიტერატორს.

დღეს, როდესაც ფასეულობათა გადაფასების დრო დადგა, უფროსი თაობის არა ერთ „მოღვაწის მანტიით“ მოხილს ციებ-ცხელებების ქარი უფლის, ვაი თუ გამიხსენონ ჩემი ადრეული ცოდვები, გამომაშკარაონ და მხილებულს მომაცილონ ასე ჭიქურ მითვისებული „მოღვაწის მანტია“; ან არიან ისეთებიც, რომელთაც თვით გაცნობიერებს თავიანთი „ცოდვები“ და თავის თავთან დარჩენილები წითლდებიან ავ საქმეთა მოგონებებით, მაგრამ ჩვენი მრავლის ამტანი და მომწირე, ყოვლის მიმტყვებელი ხალხი, მათ მიმართაც სულგრძელად დღეს, თუმცა დეტალურად იცის ყველაფერი გახმაურებულიცა და შენიღბულიც, ამ კომპრომეტირებულ თაობაშიც აღმოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც ღირსეულად გაიარეს მკაცრი გამოცდის გზა და შეუბღალავნი დარჩნენ, რის გამოც მათ წარსულში ქვეყნის არამც თუ არ ეშინიათ, არამედ ეამაყებიან, რომ იმ დიდ ცოდუნებათა უამს, ისინი მტკიცენი და ნათელი იყვნენ. ამ შეუბღალავი ბიოგრაფიის მქონე პიროვნებათა შორის ღირსეულად დგას ალექსანდრე ბარამიძე.

ღირსებაცა და ღირსეობაც, ზოგათვის ამის შენარჩუნება იმით მოხდა, რომ ისინი განუდგნენ ცხოვრების ორმბრიალს, გაუუჩინდნენ და დადუმებულნი, მოქალაქობრივი თვითმკვლელობის ფასად, თითქმის გაერყუნენ ცხოვრებას და ამით გადაიჩინეს სულის სიწმინდე, ხოლო ბატონი ალექსანდრე ბარამიძე მთელი ცხოვრების მანძილზე აქტიური მოქალაქე, აქტიური მეცნიერი, აქტიური მამულიშვილი იყო და უშუალოდ იყო ჩაბმული ბრძოლაში ქარ-ციცხლში, მუდამ კამათობდა, მუდამ იბრძოდა და ბობოქრობდა, ყოველივე ამის გამო ხშირად იყო სანიშნედ გამიწეული და მოწინააღმდეგეთაგან განწირულიც კი. განწირული ვაშლი, იმითომ, რომ ვისაც ზერეულდ მაინც გადაუთვალთვინებია ოცდაათიანი წლების პრესა, არ შეიძლება არ გაოცებულიყო; როგორ გადარჩა ამდენი „ანტი“-ის ეპითეტებით შემკობილი კაცი, კაცი, რომელიც უკომპრომისო იყო და მუდამ შეუვალლობით იცავდა თავის დებულებებს, თავის მოქალაქობრივ პოზიციას. იმ დროს კი ასეთი ჭიქური ბრძოლა სრული ანომალია იყო და აკი არაერთგზის მოხვედრილა უსიამოვნო „სიამო“-ს, მაგრამ სწორედ აქ უმართლბდა, „სიის შემდგენლები“ უფრო ადრე ჩამოდიოდნენ პოლიტიკური არენიდან, ვიდრე „სიის“ ბინადრნი.

ბატონ ალექსანდრეს სასახლოდ იხიც უნდა ითქვას, რომ ანტიკლასიციზმისეული კამპანია იყო ეს თუ ოცდაათიანი წლების „მსუბუქი კავალერიის“ თარეზის უამი, ბატონი ალექსანდრე თვითონაც გადარჩა და ვერც სხვებმა ჩაითრიეს თავიანთ თანამოკალმედ (რაც იმ დროს თანადამსწენელსაც ნიშნავდა). მთელი ცხოვრების მანძილზე უხდებოდა მას უღირსთა მიმართ დაპირისპირება და მუდამ ნათელ პიროვნებად რჩებოდა; ერთი ბოლოდროინდელი დიდი გამოცდა მას 40-50 წლებშიც დაუდგა, როდესაც კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ქარ-ციცხლმა არაერთი შესანიშნავი სწავლული შეიწირა; აქაც შეუვალად აღმოჩნდა ალექსანდრე ბარამიძე. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ ერთი ფაქტი. „შემდგომ ორგანოების“ მითითებით მას შესთავაზეს, რომ დაეწერა „მამხილებელი წერილი“ მისი მოძღვრის, ბატონი კორნელი კეკელიძის, ვითარცა კოსმოპოლიტის წინააღმდეგ, ალექსანდრე ბარამიძე მეტად შორს დაიჭირა თავი.

სახტიკი უარი შეუთვალა პასუხისმგებელ მუშაკს. აქვე არ შეიძლება არ დავაფასოთ ამ ერთ-ერთი დიდი პასუხისმგებელი მუშაკის პოზიცია. როდესაც მას მოახსენეს, რომ ალექსანდრე ბარამიძე კატეგორიულ უარს ამბობს წერილის დაწერაზე, ამ მაღალი თანამდებობის პირმა კმაყოფილებით თქვა: „ალექსანდრე კაცი ყოფილა და თავი დაანებებო“. ამჭერად ცოტნეს შემწყნარებელი მონღოლის არ იყო, ალექსანდრე ბარამიძესაც ღირსეული „უფროსი“ აღმოაჩნდა. ასეთი ბეწვის ხილით იარა მთელი ცხოვრების მანძილზე და მის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ



არასოდეს წაჩოქებულა, არასოდეს უღალატა თავის მოქალაქობრივი და მეცნიერული პრინციპებისათვის.

როცა ვაანალიზებთ ბატონი ალექსანდრესა და საერთოდ მისი თაობის (მომდევნო თაობისაც) მეცნიერულ მოღვაწეობას, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის საზოგადოებრივი ატმოსფერო, რომელშიც მათ უხდებოდათ ცხოვრება და მუშაობა. ნუ დაგვავიწყდება, რომ მაშინ არ იყო „ფრენის ამინდი“ არც პოეზიისა და არც მეცნიერებისათვის, საერთოდ აზროვნებისათვის. ეს იყო დრო, როდესაც სანთელივით წმინდა კაცის, ივანე ჯავახიშვილის მოწაფეობა და ასევე სეტყაი პიროვნების, ვახტანგ კოტეტიშვილთან მეგობრობა ბრალდების რანგში იაზრებოდა. ეს იყო დრო, როდესაც კვლევადობა მეცნიერული ინტერესებით კი არ იმსუფრებოდა, არამედ „აქტუალობით“ და გამოკვლევები უნდა დაწერილიყო გარკვეული შრომების „შუქზე“.

ეს გამოკვლევები უნდა დაწებულყო და დამთავრებულიყო „ყოვლისშემძღვე და ყოვლისმომცველი“ ციტატებით. ერთხელ ბატონმა კორნელი კეკელიძემ ბრძანა: მე არასოდეს თუ არ იმსუფრებდა ფიქრი იმაზე, თუ რა დამეწერა და როგორ დამეწერა, მთავარი საფიქრალი იყო, თუ რა სათაური მამეცა ჩემი შრომისათვის, რომ მის „აქტუალობა“ ჰქონოდა. და მისი წყალობით დასტამბვა ყოფილიყო შესაძლებელი. ასე რომ, ჩვენ უფროსი თაობის ღირსეულ სწავლულთა ნაღვას როდესაც ვიპოვებთ, აუცილებელია გავითვალისწინოთ მათი შრომის პირობები და „საზოგადოებრივი დაკვეთა“ და მაშინ ნათელი იქნება არამარტო მათი ნაშრომების ფასეულობაც, არამედ მათი მოქალაქობრივი ვაჟკაცობა, ერთგვარად მოწამეობრივი ცხოვრების გზა.

ჩემი თაობის ადამიანებს პედაგოგების მხრივ ბედმა საკმაოდ გაუღიმა, ჩვენ მაღალი დონის სწავლულნი და დიდი პრინციპების მქონე პიროვნებების ლექცი-

ების მოხმენის ბედინერება გვქონდა. ამ შესანიშნავ მეცნიერთა და მოღვაწეთა შორის საპატიო ადგილს იმკვიდრებს ბატონი ალექსანდრე ბარამიძე. თვით დიდ მეცნიერთა და პედაგოგთა — ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, ნ. მარისა და იუსტინე აბულაძისაგან ნაკურთხი და გზაგაყვული თავის მოწაფეთა მიმართაც ასეთივე პრინციპული და უშურველი ბრძანდება.

ჩემი თაობის დაახლოება ბატონ ალექსანდრესთან თავისებურ ვითარებაში მოხდა, გარდა იმისა, რომ დიდი გაცაცებით ვისმენდით მის ყოველმხრივ საინტერესო

ერთი აშკარაა, რომ ამ ხეშინა-რებმა არა მარტო ლიტერატურის ისტორიის საქვანძო საკითხებში ჩავვახედეს, არა მარტო ინტერესი და გემო გავვისხნეს ლიტერატურული მოვლენებისადმი, არამედ უპირველესად შეგვაყვარეს ის, გამოგვიუშავეს შრომისა და პასუხისმგებლობის უნარი. ბატონი ალექსანდრეს შესახებ მსჯელობისა თუ ფიქრის დროს მუდამ გამოიკვეთება მისი ხასიათის ძირითადი თვისებები: დიდი ადამიანური სითბო, მზრუნველობა და თანადგომა, როგორც ახალგაზრდისა და კოლეგის, ისე საერთოდ ადამიანების მიმართ და ამ თვი-

ული იყო, რომ მოკამათენი უკომპრომისო გავულობის გარეშე თმობდნენ პოზიციას.

ალექსანდრე ბარამიძემ მთელი პერიოდი შექმნა ქართული მეწერლობის კვლევითი ცენტრი; მისი მეცნიერულმა შემოქმედებამ ჩვენი მეწერლობა დიდ სწრაფს მოაფინა ნათელი, მისეული ანალიზი და ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის დიდი შენაძენია, რომლის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა და კიდევ უფრო მეტი დაიწერება. ალექსანდრე ბარამიძე, ვითარცა ლიტერატორი, თავისთავად კვლევის სფეროა და ჩვენს მცირე მოკვლევებში შეუძლებელია მისი დამსახურების აღწერა, ამჭერად მხოლოდ ერთ ასპექტზე გავინდა გვაშავილოთ ყურადღება. ბატონი ალექსანდრეს შრომებში ჩაღრმავებული სპეცილისტიკა და მკითხველზე ბევრ ფასეულ იპოვებს. იხიც უნდა ითქვას, რომ მას ზეპირი გზით, დისპუტება თუ საუბრების დროს ბევრი დებულება ჩამოუყვანილებია, მისი არსად არაა ფიქსირებული, არა და მათ სამოქალაქო უფლება უკვე მოიპოვეს, მისი მოხაზრება თუ დებულება უკვე დამკვიდრდა ჩვენ შორის და ჩვენ შს ვერც ვამჩნევთ. მრავალთა შორის ერთი მინდა მოვიგონო: ჩვენი სახელოვანი შეიგავე სულხან-საბა-ორბელიანი ადრეულ გამოკვლევებას თუ წერილებში მუდამ იხსენიებოდა საბა-სულხან ორბელიანი. 1958 წელს საიუბილეო კომისიის სხდომაზე, როდესაც დადგა საკითხი მისი თხზულების სრული კრებულის გამოცემისა, მაშინ ბატონმა არნოლდ ჩიქოვამ ბრძანა, რომ აკადემიური გამოცემა დაბეჭდილიყო: „საბა-სულხან ორბელიანის თხზულებები“. ბატონმა ალექსანდრე ბარამიძემ დაბეჭდვით მოითხოვა, რომ დაბეჭდილიყო არა საბა-სულხანი, არამედ სულხან-საბა, რამეთუ ჩვენი სახელოვანი შეიგავე ჭრ სულხანი იყო და შემდეგ გახდა საბაო. კომისიამ კ. კეკელიძე, ივ. გიგინეიშვილი, გ. ლეონიძე, ს. ყუბანიევილი, ივ. ლოლაშვილი ბატონ ალექსანდრეს დაუჭირა მხარი და ტრადიციული „საბა-სულხანი“ ნაცვლად დამკვიდრდა „სულხან-საბა“. ეს თითქოს მცირე დეტალია, მაგრამ უშრავი ასეთი შენიშვნები აქვს მას ჩამოყალიბებული, განსაკუთრებით კლასიკოსთა თხზულებების და მით უფრო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენაში საკმაოდ ბევრი მისი დაკვირვება გახიარებული, რომლებიც, რატომღაც მის გამოკვლევებში ჭერ-ჭერობით ასახული არაა.

დამავრალდა, ქართული ლიტერატურისა და საერთოდ, ქართული კულტურის ხელშეწყობილი მკვლევარი და ცხოვრების რთულ გზაზე უმწიკვლოდ მავალი ბატონი ალექსანდრე დღესაც, ცხოვრების მეცხრე ათწლეულს მიღწეული საშური ენერგიულობითა და გამპირაობითაა ჩაღრმავებული გროვულ სიძველეში და კვლავ ევრვდის მისთვის ჩვეული პასუხისმგებლობითა და პროფესიული ხილრმით გამოკვეთილ გამოკვლევებს.

რედაქცია ბარამიძე.
24 მარტი, 1989 წ.

ნათელი გზით მავალი სწავლული

ლექციებს (ყოველმხრივ ვამბობთ, იმიტომ, რომ მის ლექციებში საოცრად იყო შეზავებული პრობლემის მრავალმხრივ და ღრმად წარმოჩინება, უდიდესი ინფორმაცია და ანალიზი, ორატორული ხელოვნება და არტისტიზმი), ამავდროულად, მთელი პასუხისმგებლობით მოვეზადეთ გამოცდისათვის. გამოცდაზე არ შევრცხვებით, ეტყობა მოვეწონეთ კიდევ და რამდენიმე სტუდენტს გვიტოვრა, სადასოვლოდ მოდიოდა სემინარული მუშაობა გვექნებოდა. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და მართლაც ოთხშაბათს, ზაღამოს ექვს საათზე, მის კაბინეში (მაშინ ბატონი ალექსანდრე უნივერსიტეტის პრორექტორი იყო) გამოცხადდით ოთარ კარსანიძე, გულბათ თორაძე, ლანა ლოლოზერიძე, ფარნაოზ ერთელიშვილი, გივი მაჭავარიანი, კარლო ქილარჯიანი, და მე. ჩვენ ასევე სემინარზე დავდიოდით ბატონ ვარლამ თოფურიასთან და ამიტომაც ზოგიერთმა ჩვენი თანაგანმა — ფ. ერთელიშვილმა, გ. მაჭავარიანმა და ნ. რამიშვილმა ენათმეცნიერებაზე აიღო ორიენტაცია. ისევე, როგორც ბატონი ვარლამი, ბატონი ალექსანდრე გვაოცებდა „ენერჯისა და დროის დაუშოკველობით“.


დღესაც მარცხს მათი წარმოუდგენელი პედაგოგიური და მამულიშვილური შინაგანი წვა. საათობით ისდნენ ჩვენთან ერთად, გვაძლევდნენ დავალებებს, შეგვიჩვენებდნენ წიგნებს, აანალიზებდნენ და ჩავვალრმავებდნენ ამა თუ იმ საკითხებში და საოცარი სიმკაცრითა და მომთხვეწელობით ელოდნენ ჩვენგან მზადყოფნას. რაც მთავარია, ეს სემინარები სრულიად არ შედიოდა ოფიციალურ სასწავლო პროგრამაში, იგი ნებაყოფლობით, მოხალისურ საწყისებზე იყო დაფუძნებული, მაგრამ ისეთი გაცაცებითა და მონდომებით გვეხმარებოდნენ, გვეთავაზობდნენ, რომ მამაშვილურსაც ვერ უწოდებ ამ ურთიერთობას, ის რაღაც ზეადამიანური იყო და დღეს ზნორად ვფიქრობ, რა ღმერთი გვიწერება, რატომ ჩვენ ვერ ვახერხებთ ოფიციალური საშუალო საათების შემდეგ ახალგაზრდებისადმი ასეთი ყურადღებისა და სითბოს გამოშვლავნებას. ცოცხალი გამოცდისეული ჯობია: ალბათ არ ვართ ისეთი პედაგოგები და მამულიშვილები, როგორც ჩვენი მოძღვარნი იყვნენ.

სხვებს იგი ორგანულად უთავსებს მკაცრ პრინციპულობას; იგი საოცრად უკომპრომისოა მისთვის მიუღებელი მოვლენისადმი. ამ თვისებებს იგი ავლენს, როგორც მეცნიერული პრობლემებისადმი და მოკიდებულებებში, ისე ადამიანურ ურთიერთობებში. ამასთანავე თვალში საცემია ერთი იშვიათი თვისება, რამდენადაც იგი თანმიმდევრული და პრინციპულია ამა თუ იმ საკითხის განსახილვას, მეცნიერული პრობლემის დიდ პიროვნების ღრსების დაცვისას, იმდენად მომტყვებელი და სულგრძელია მისადმი არაკეთილად განწყობილთა თუ ტკივილის მიმყენებელთა მიმართ. ცხოვრების დიდ გზაზე არა იშვიათად, დაუმსახურებლად გუნაწყუნებიათ; ნაამაგართ არამც თუ არ დაუფასებიათ, არამედ დიდად გულნატკენობაც განუცდივეთ, მაგრამ მას მუდამ განმაცვიფრებელი სულგრძელობით, წმინდა ქრისტიანული მომტყვებლობით გულწრფელად შეუხედვია და არამც თუ არ გაჩენია ანგარიშსწავლისა და დასჯის სურვილი, არამედ არც თუ შეამჩნევინებდა ხოლმე სიკეთის დაუნახავ ოპონენტს. ასეთი სულგრძელობა მის ახლობელთა გაკვირვებასაც იწვევს, მაგრამ ბატონი ალექსანდრე დადინჯებით ამბობს: „დრო გავა, თვით მიხვდება და თვითვე ინანებსო“. ასე რომ, მასთან კონტაქტი მყოფი ადამიანი, მით უფრო ახალგაზრდა, მისგან სწავლობს არა მარტო მეცნიერული კვლევის მეთოდებს, არამედ ამასთანავე ადამიანური ურთიერთობის კულტურას — ტაქტს და სულგრძელობას. იგი ხშირად გვინახავს, განსაკუთრებით პრინციპული საკითხების გადაწყვეტილებისას, მისისანე და პათეტიკური, მაგრამ არასოდეს უხეში და უტაქტო — არც უმცროსთა და არც უფროსთა მიმართ. ამ უკანასკნელთა მიმართ გამართულ პოლემიკაში მუდამ იგარმნოდა მორიდება და აღიარება, დიდი პატივისცემა და მოკრძალება, მაგრამ თუ კი შინაგანად სწამდა თავისი დებულების სიმართლე, ყოველგვარ დამობაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. იგი მუდამ დიდი ტაქტით, მაგრამ თანმიმდევრულად იცავდა თავის სარწმუნო დებულებას, რომელიც იმდენად არგუმენტირებ-



მეტროს ხელშეწყობილი ფოტო

პოეზიისა და პროზის განყოფილებაში დაბეჭდილია ომარ თურმანაულის, არჩილ ანგეტელის, გიგა ხუბუას, დათო ბარბაქაძის, ელგუჯა დობოჯიჯიძის, ზვირიან ნაბახის, ნატო მინდაძის, შვიად ირემაძის, მათა მელაძის ლექსები და მოთხრობები. „დილოგი“ — ამ რუბრიკით წარმოდგენილია მწერალთაშორის ხმალიანი საუბარი პროფესორ ლევან მენაბდეისთან. აქვე დაბეჭდილია დავით ჩიხლაძისა და მათა მღებრიშვილის წერილები. „ახალი თარგმანების“ რუბრიკით მკითხველი გაეცნობა ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის ა. ციკოს წიგნს „სტალინიზმის სათავეები“ (თარგმანი ილია ბარამიძემ).



შანაბადა

გონდო დავაის ფოტო

თანამედროვეობის არქივიდან

ენდი უარკოლის რომანი

თანამედროვე ამერიკული კულტურის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ენდი უარკოლმა (წარმოშობით ჩეხია და მისი ნამდვილი გვარია ვარპოლა), ვინც ერთდროულად ცნობილი მხატვარი, კინორეჟისორი, ესთეტიკოსი და მწერალია, სიკვდილამდე ცოცხალი ადრე გამოსცა რომანი სახელწოდებით „ა“. ეს რომანი მეტად უჩვეულო მეთოდით დაიწერა: ენდი უარკოლმა თავის სტუდიაში დადგა ფარული ჩამწერი, რომელიც აღწერდა იქ მყოფი ხალხის საუბრებს. შემდეგ მან მბეჭდავ ქალს ზედმიწევნით გადააბეჭდინა მთელი ჩანაწერი და 451 გვერდი ყოველგვარი კორექტირების გარეშე (საბეჭდო მანქანაზე დაშვებული მექანიკური შეცდომებით) მრავალტირაჟიანი წიგნად გამოსცა. რომანს დიდი წარმატება ხვდა წილად და მოკლე ხანში მთელი ტირაჟი გაიყიდა.

სკულპტურაში კოსმოსში

ამერიკელი მხატვარი ეზრა ორონი შეუთანხმდა აშშ ნაციონალური აერონავტიკისა და კოსმოსის ადმინისტრაციას, რათა ტექნიკური დახმარება მიეღო პლანეტა მარსზე მხატვრული სკულპტურების აღმართვაში. მხატვრის მიზანია ასეთი სკულპტურები მზის სისტემის სხვა პლანეტებზეც განალაგოს და მარსი იქნება პირველი პლანეტა ამ გარდასული ჩანაფიქრის განხორციელებაში. პლანეტაზე სანაწარმოები წარმოებს სპეციალური კონსტრუქციის დახმარებით, რომლებსაც უშუალოდ მხატვარი ხელმძღვანელობს დედამიწის პულტიდან რადიოლოკაციით. ერთი სკულპტურის აღმართვას დაბლოებით 200 რადიობრძანება სჭირდება.

ეზრა ორონს ადრეც ახასიათებდა ასეთი გრანდიოზული მასშტაბები. ცნობილია მაგ., მისი სკულპტურა „ანაბურანას მიმართულებით“, რომელიც შესრულებულია ცენტრალურ კიბლაზე. იგი შედგება ქვებისა და ფილებისაგან, რომლებიც თანმიმდევრობით არიან განლაგებული და მიმართებიან კიბლაების ძირიდან მწვერვალისაკენ 8 091 მეტრის მანძილზე.

ეზრა ორონს აგრეთვე ახასიათებს გეოლოგიური სტრუქტურების შემოტანა ადამიანის მხატვრული ინტერესების სფეროში. იგი გეოლოგიურ სკულპტურებს უწოდებს ვულკანებს, მეტეორიტებისაგან გაჩენილ კრატერებს, ბაზალტის აუზებს და ა. შ. მაგ., ეზრა ორონი „ავულკანურ სკულპტურად“ ასახელებს ნიქს ოლიმპიკს ვულკანს მარსზე, რომელიც სამეგრ აღემატება სიმძლიერით კიბლაებს და ყველაზე მაღალი ვულკანია მზის სისტემაში; „ავოლურ სკულპტურად“ — ასახელებს მარსის სამხრეთ პოლარის მშრალ ზღვას, სადაც შტორმების სიჩქარე საათში 500 კმ-ს აღწევს და ყოველ წუთს ცვლის ზღვის რელიეფს; ხოლო სხვადასხვა პლანეტებზე მეტეორიტებისგან გაჩე-

ნილ მილიონობით კრატერს, რომელთა დიამეტრიც ასობით კილომეტრია და სიღრმე — ათასობით მეტრი, ეზრა ორონი „მეტეორიტულ სკულპტურებს“ უწოდებს.

კუნძულის ბინადარი

ცნობილი ამერიკელი მწერალი უილიამ (ბილ) ბაროუზი, ვინც დღეს ყველაზე დიდ რომანისტად ითვლება მთელ მსოფლიოში, აშშ ხელისუფლებამ გაასახლა ქვეყნიდან, როგორც საშიში ასოციალური პიროვნება და მას წლების განმავლობაში ტანჯვის კუნძულებზე უხდებოდა ცხოვრება კულტურული გარემოდან სრულ იზოლაციაში. მას არ ჰქონდა თავის ქვეყანაში დროებით ჩასვლის უფლებაც კი და მხოლოდ წერილობით უკავშირდებოდა კოლეგებსა და მეგობრებს.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ განდგილის ცხოვრების წესი არცთუ იშვიათად არის გავრცელებული ამერიკელ მწერალთა შორის. პოეტმა რობინსონ ჯეფერსმა, რომელიც 1962 წელს გარდაიცვალა, მთელი თავისი ცხოვრება წყნარი ოკეანის სანაპიროზე მდებარე უდაბურ კუთხეში, კარმელში გაატარა, სადაც მთელ თავის დროს მხოლოდ პოეტურ შემოქმედებას უთმობდა; ხოლო ცნობილი რომანისტი ჯეკ კერუაკი (გარდაიცვალა 1970 წელს) სიკვდილამდე მოხეტიალე ბერის ცხოვრებას ეწეოდა, ამერიკული ლიტერატურის ისტორიაში ცხოვრების ასეთი სტილის კლასიკურ ნიმუშს მაინც ამერიკელი პოეტი ჯონის ემილი დიკინსონის (1830-1886) ბიოგრაფია წარმოადგენს. იგი დაიბადა და მთელი ცხოვრება მასაჩუსეტის პატარა ქალაქ ამპერსტში გაატარა, ხოლო სწავლის დამთავრების შემდეგ თავისი სახლის ეზოსაც არ გასცდენია. მისმა ლექსებმა მხოლოდ პოეტის სიკვდილის შემდეგ მიაღწიეს მკითხველამდე, თუ არ ჩავთვლით ორიოდ ლექსს, რომლებიც დიკინსონმა ხელმოუწერად დაბეჭდა გაზეთში, პოეტი თავის ახლობლებსაც კი უმაღავდა საკუთარ ლექსებს.

ერთობლივი ნაწარმოები

თანამედროვე კლასიკური მუსიკის ცნობილი კომპოზიტორს ჯონ კეიჯს ეკუთვნის ერთი მეტად უცნობი ნაწარმოები სახელწოდებით „4'33“, რომელიც 4 წუთსა და 33 წამს გრძელდება და შედგება მხოლოდ და მხოლოდ... სრული დუმისგან. კეიჯი გამოვიდა აუდიტორიის წინაშე, ახადა როიალს თავი, მოხერხებულად მოთავსდა სკამზე და თითქოს მოემზადა დასაკერვლად... ოთხნახევარი წუთის შემდეგ კომპოზიტორმა დაასრულა „დუმის მუსიკის“ შესრულება და დასტოვა სცენა. მას სურდა მთელი აუდიტორია ჩაერთო ნაწარმოების შექმნაში და შესრულებაში და სამისოდ ყველაზე ოპტიმალური საშუალება დუმის ალმონად. მაგრამ შემდგომში ჯონ კეიჯი დაჯილდოვებულია ალმონად, რომ არ არსებობს არავითარი აბსოლუტური დუმისი, რა-

ღაც ყოველთვის ხდება, რაც ხმას გამოსცემს. მან ამის დასამტკიცებლად დაწვრილებით აღწერა, თუ როგორ გაიგონა ჰერმეტულად დახურულ ოთახში საკუთარი გულისცემისა და საფეთქლებში სისხლის დინების ხმა.



მარტოსული კოსმოპოლიტი

ამერიკელი მხატვარი მარსდენ პარტი (1887-1943), ვისაც კოსმოპოლიტ შემოქმედსად თვლიან, ერთად მარტოსული ადამიანი აღმოჩნდა. ეს ფაქტი თვალნათლივ გამოამკვლავა მისი „რჩეული ლექსების“ კრებულმა, რომელიც გეორ. სკოტის რედაქტორობით გამოიცა „ბლეკ სანოუ პრესში“. კრებულში 300 გვერდი ეთმობა მხატვრის ლექსებს, რომლებიც პირველად გამოვიდა ფართო მკითხველის სამსჯავროზე. პარტი ზუსტად იმდენსავე დროს უთმობდა პოეზიას, რამდენსაც მხატვრობას, მაგრამ ლექსებს არავის აკითხებდა. მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ მოხერხდა ამ მეტად საინტერესო პოეტური ნიმუშების გამოტანა დღის სინათლეზე. მარსდენ პარტი, ვინც ცნობილი პარიზელი მწერალი ჯალს გერტრუდა სტაინის უახლოესი მეგობარი იყო, თავდაც შესანიშნავი ლიტერატორი აღმოჩნდა.

ცნობიანობის ეპიპროზები

ამერიკელი პოეტი ალენ გინზბერგი ამერიკული იატაკქვეშა ე. წ. „ბასტ-კულტურის“ ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელია. თავისი პოეტური ნაწარმოებების შექმნისას იგი მიმართავს ცნობიერების ექსპერიმენტებს ფსიქოდელიკური ნარკოტიკებით. მან ამ პრეპარატების შემოქმედების შესწავლას მთელი რვა თვე დაუთმო ნიუ-იორკის შტატის ფსიქიატრიულ ინსტიტუტში. ეს ექსპერიმენტები მან ჯერ კიდევ 1952 წლიდან დაიწყო, თავისი სახელგანთქმული პოემის „ლმუილის“ დაწერამდე, ხოლო 1961 წლიდან ლს-ცნობიერების დოქტორ ტომოთი ლორისთან ერთად გააგრძელა მუშაობა კემბრიჯში. პოემა „ლმუილის“ II ნაწილის ძირითადი ტექსტი (1955) და „უელსის მონახულება“ შესაბამისად დაწერილია ნარკოტიკების — პეიოტისა და ლს-დს-დს-მარებით მიღებული პოეტური ეფექტებით. 1967 წელს ალენ გინზბერგმა თხოვნით მიმართა აშშ სენატს ფსიქოდელიკური ნარკოტიკების ლეგალიზაციის თაობაზე.

ინგლისურენოვან სამყაროში თანამედროვე პოეზიის უპირველესი მაგისტრის ალენ გინზბერგის და საერთოდ „ბასტ-კულტურის“ წინამორბედად ალბათ გასული საუკუნის ინგლისელი პოეტი სამუილ კოლრიჯი უნდა ჩაითვალოს. ვინც სისტემატურად იყენებდა ე. წ. „სიცილის გაზს“, იმავე სფეროს წარმომადგენელია ამერიკის ერთ-ერთი საუკეთესო პროზაიკოსი კენ კეისი, ვისი გახმაურებული რომანიც — „გად-უფრინა გუგულის ბუდეს“ ფსიქიატრიულ კლინიკაში საცდელ პაციენტად მუშაობის დროს არის დაწერილი. ამერიკაში „ბასტ-კულტურა“ იატაკქვეშა მიმდინარეობდა რჩება.



ქველი და ახალი თბილისი. ილარიონ ბაშვის ფოტო

ლიბერატორული საქართველო
 რედაქციის მისამართი: 280005, თბილისი, ლაგოთხანის ქუჩა № 1
 ტელეფონები:
 მთავარი რედაქტორის — 99-84-04
 მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
 პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
 განყოფილებების — 99-72-89; 99-71-68; 99-02-65.
 შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

მთავარი რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე
 სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ავაშაქელი, თაბაჯ გიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნოდარ გურაშვილი, ივანე თარბა, ჯუმაბარ თითთარია (მთავარი რედაქტორის მოადგილე), რეზაზ ინანიშვილი, ანა კალანდია, დავით შაქალური, ოთარ ჩხეიძე, თაბაჯ ჩხენკელი, სარგის ცანიშვილი, გეორგი ფიქლაური, ვახტანგ ჯაველიძე, თაბაჯ ჭილაძე, ფრიდონ ხალვაში, გივი ჯოსაძე (პასუხისმგებელი მდივანი).